

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 23—24

1883—1901

1—30 დეკემბერი.


ზინაარსი:

სალიტაკატურო განყოფილება: ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ. დეკ. დ. ლამბაშიძისა.—„რძის წვეთი“. ექიმი ვ. დ.—ძისა.—რა დროს უნდა შესრულდეს საიდუმლო ქორწინება?—„მწყემს“-ს (ლექსი) თ. როსტომ ჩიქოვანისა.—შობა უფლისა. დეკ. დ. ლამბაშიძისა.—ნეკროლოგი.—უურნალ გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.
სწავლა და მცენიერება ძრისტიანობრივ საჩუქროებასა და ათილ-ჯანოზაზე: სიტყვა, თქმული ორს დეკემბერს ქუთაისის საკრებულო ტაძარში წმიდათა შორის ისე წილკნის ეპისკოპოსის ხსენების დღეს ყ-დ სამღვ. იმერეთის ეპისკ. ლეონიდის მიერ.—სიტყვა, თქმული 29 კვირავეს ქვუ. წმ. გიორგის ეკლესიაში მღ. მარკოზ ტყემალაძის მიერ.—მართლ-მადიდებლობით ქრისტიანებრივის საეკლესიო საზოგადოებრივის ღვთის მსახურების განმარტება. კაჭახიძისა.—
საზიკო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეკლესიო კითხვების განმარტება.—განცხადება.

ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ.

ერთი დაბრკოლება, რომელიც თითქმის უმთავრესი იყო სხვათა შორის ჩვენ გამოცემათა საქმის სიძნელისა—უკვე მოიხსნა. ამა წლიდან ჩვენი რედაქცია და სტამბა ერთად გვექმნება მოთავსებული დაბა ყვირილაში. ვერ წარმოიდგენს კაცი იმ დაბრკოლებას, რომელიც ნიადაგ გვხდებოდა ჩვენ გამოცემათა ბეჭდვის დროს, როცა საკუთარი სტამბა არა გვექონდა. ხშირად შეგვხვედრია, რომ ნახევარი გამოცემა დაგვებეჭდოს ქუთაისში და ნახევარი

რი კი თფილისში. მართალია, სიტყვით ამას ადვილად იტყვის კაცი, მაგრამ საქმით კი მეტის-მეტად ძნელი ასასრულებელია. ბოლოს, ღვთის შეწვევით საკუთარი სტამბა შევიძინეთ და ამით ძლიერ გავვიადვილდა ბეჭდვა გამოცემათა და სხვა-და-სხვა მრავალ წიგნთა და წიგნაკებთა, რომელნიც ასი ათასობით დაბეჭდილან. დღესაც მრავალი გვაქვს დამზადებული სულიერი საწოვავე, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ საზოგადოებას ძლიერ დაკარგული აქვს მაღა, ხალისი და მოთხოვნილება ამგვარი საზრდასი. იგი მზად არის მთლად მთელი ქონება



კუქის მოთხოვნისთვის შესწიროს, მაგრამ ამავე დროს გონების ვარჯიშობისათვის, სულის საზრდოსათვის ერთი კაპეიკი არ გაიმეტოს. რით აიხსნება ჩვენში ჟურნალ-გაზეთების და წიგნების ბეჭდვის სიმცირე თუ არა მით, რომ ჩვენში გონებით ხალხი ბევრად უფრო დაქვეითებულია არა თუ ქრისტიან ევროპის ხალხზე, არამედ ურწმუნო ერებზედაც-კი? რით აიხსნება ჩვენში თავისი ეროვნობის სრულყოფით დაკვიწყება და ოსპის საკმეღზე მისი გაცვლა, თუ არა სრულებით გონებით ჩვენის დაცემით?! რომელ ერს ნახავთ დედამიწაზე, თუ გინდ ზანზი-ბარში, ზულუსებში და შავ-კანიან ხალხებში, რომ თავისი ენა საზიხლად მიაჩნდეს ისე, როგორც ჩვენში და ისიც ნასწავლთა შორის?..

მაგრამ არ ვკარგავთ იმედს, ვიმედოვნებთ, რომ როცა ჩვენს საზოგადოებაში ცოტად მაინც ნამდვილი განათლების სხივი შემოაშუქებს, ცოტად მაინც გამოუჩნდებიან, მიხედვებიან თავიანთ შეცდომას და ქეშმარიტ გზას დაადგებიან...

მართალია, საკუთარმა სტამბამ დიდი დახმარება გაგვიწია, მაგრამ რედაქციისაგან დაშორება სტამბისა მაინც აძნელებდა ბეჭდვის საქმეს. არ მომხდარა თითქმის არაოდეს ორ-სამ გზის მეტად, რომ ჟურნალი დაბეჭდილიყოს ჩვენდა წაუკითხველად; და რაღაცა ღვთის განგება გვეწყოდა, რომ თერამეტი წლის განმავლობაში ერთხელ ავად არ გავმხდარვართ, რომ გაზეთის გამოსვლა ამით დაბრკოლებულიყოს. ნიჟარა სიარული სტამბაში, ხშირად ღამღამობით, ღამის თვეა და სტამბაში მუშაობა მერე ისეთ მტვერიან ქალაქში, როგორიც არის ჩვენი კურთხეული ქუთაისი, მართლაც საძნელო იყო. ამას გარდა რამდენჯერ მომხდარა დაკარგვა დასაბეჭდავად გაგზავნილ წერილებისა ან და უდროოდ დროს მათი მიღება—ვინ მოსთვლის.

ყველა ეს დაბრკოლებანი, მადლობა ღმერთს, ამიერიდან აშორებული გვექმნება. იმედი გვაქვს დღეიდან ჩვენი ორგანოები თავ-თავის დროს გამოიცემიან და შინაარსითაც გაუმჯობესდებიან. მომავალი წლისათვის ჩვენ აღგვათქვეს თანამშრომლობა ჩვენმა ზოგიერთმა ნასწავლმა პირებმა. ღმერთმან ინებოს...

საზოგადოდ-კი, არ შეგვიძლია ჩვენი მწუხარება არ გამოვსთქვათ, რომ დიდი უმრავლესობა ჩვენი ნასწავლი დიპლომიანი ყმაწვილებისა სრულყოფით

ბით არავითარ შრომას არ კისრულობენ თავიანთ თანამემამულეთა სასარგებლოდ, მათგანგან გასართობად.

ზოგიერთმა საპატიო პირებმა კიდევ გვისაყვედურეს, რომ წარჩინებული ნაწილი ჩვენი სამღვდლო და საერო პირთა არ იღებს მონაწილეობას ჩვენს გამოცემაში და აქ ვითომ ისევ ჩვენ გვღებდნენ ბრალს. მაგრამ ეს შემცდარი აზრია! ეს წარჩინებულნი პირნი და საზოგადოდ ჩვენი ნასწავლი ახალგაზრდობაც, გარდა მცირე-ნაწილისა, არც ერთს დრო-გამოშვებითს გამოცემაში არ იღებენ მონაწილეობას, სრულებით სხვანაირად ატარებენ დროს და არაფერსაც არ ჰფიქრობენ თავიანთ მოძმეთა გონებით განვითარებას ცოტაოდენი დახმარება აღმოუჩინონ ბეჭდურის სიტყვით. მაგრამ ჩვენ აქ რა შუაში ვართ?!

მართალია, ყველას კი ვერ დავემდურებით, ვინაიდან ზოგიერთებს დიპლომი მიუღიათ მხოლოდ რამდენიმე საგნის შესწავლისათვის, და არა საერთო განვითარებისათვის, რომელიც ყოველთვის არ მოსდევს ხოლმე მარტო საგნების შესწავლას. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მათ შორისაც კი ვისაც საერთო განვითარება მიღებული აქვს, ხალისი და სურვილი მწერლობისა ცხოვრებაში გამოსვლისათვის ეკარგებათ. ვინ იცის, რა წვრილმანებში ეხარჯებათ დრო და რაში არ ხვდებით ღამის თვეა—მაგრამ კალმისათვის მაინც თითქო არა სცალიათ და არც დრო ემეტებათ?! და ამას ჩადიან, სამწუხაროდ, ისეთი პირები, რომელთაც თბილი ადგილები უშოვიათ და ნივთიერადაც უზრუნველყოფილნი არიან...

დასასრულ, მოგილოცავ ძვირფასო მკითხველო, მიმდინარე წლის დასრულებას და მომავალ ახალ წელიწადს. შორს ჩვენგან ეს წელიწადი, წარსულ საუკუნოებთან ერთად თავისი სიბნელით, თავის ცოდვებითა და უკუღმართობით... მოგილოცავთ მომავალ ახალ წელიწადს. ღმერთო სახიერო, და ყოველის შემძღობელო! მოხედე შენს მორწმუნე ერს ქართველთა; მოსპე მათ შორის შური, მტრობა, ძმათა საძულელი; გვიხსენ უფალო შიმშილისაგან, სვრისა, ძვრისა, დანთქმისა, სეტყვისა, ცეცხლისა, მახვილისა, უცხო თესლთა ზედა მოსავლისაგან, ურთიერთისა ბრძოლისა და ჭირისა და იწროებისაგან...

დგკ. დ. ღამაშიძე.

„რძის წვეთი“.

(კაცთ-მოყვარული და მეცნიერული დახმარება ძუძუ-მწო-
ვართა საკეთილდღეოდ შემოღებული).

ყველამ კარგად უწყის, რომ ნორჩ, ძუძუ-
მწოვარ ბავშვისათვის ერთად-ერთი საუკეთესო და
რიგიანი საზრდო არის დედის რძე. ამ ბუნების
კანონს მისდევს არა თუ მარტო ადამიანთა შთა-
მომავალი, არამედ თვით ტლანქი ძუძუმწოვარი
პირუტყვებიც-კი, რომელთა აგებულება გაცილე-
ბით უფრო მაგარია და ამტანი ადამიანისაზე. ეს
ბუნების კანონი ყველას აქვს შეგნებული, ველუ-
რიდგან მოკიდებული განათლებულამდე. ჩვენში-
დაც არა თუ ასრულებენ მტკიცედ ამას, არამედ
აჭარბებენ კიდევ. ასე რომ თვით ბუნებისაგან
დაწესებულს საზღვარსაც-კი გადადიან—ხშირად
ბავშს ორ-სამ წლამდე არ აშორებენ ძუძუს—ვი-
თომდა შებრალებით და კეთილის სურვილით. ამი-
ტომაც ჩვენი დედებისათვის იმის ქადაგება არ არის
საჭირო, უთუოდ თქვენვე უნდა აწოვოთ თავის
შვილებსო, როგორც ამას ზოგიერთ სხვა ქვეყ-
ნებში საჭიროებენ, სადაც მრავალ დედებს სიკვ-
ლუცემ და თავის მშვენიერებაზე დაუცხრომელმა
ზრუნვამ ხელი ააღებინა (უმიზეზოდ) ამ წმინდა
მოვალეობაზე—თავის ძუძუთი საკუთარ შვილის
აღზრდაზე. ჩვენში, მაშინაც-კი, როდესაც მავნე-
ბელია ბავშვისათვის ან დედისათვის ძუძუს წოვება
—მაშინაც-კი არ ეშვებიან ამას—და თუ მთლად
რძე გაუშრებათ, თორემ ისე, ექიმის რჩევითაც-კი,
არ ანებებენ თავს.

რასაკვირველია, მეტად სასარგებლოა ბავში-
სათვის თავისი დედის რძე და საზოგადო კანონიც
ეს უნდა იყოს, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები,
როდესაც დედას არ შეუძლია და არც უნდა მიე-
ცეს ნება ბავშვს აწოვოს. მაგალითად, როდესაც
დედა მემკვიდრეობით სუსტი აგებულების არის,
ან ცულ ჰავაში და მძიმე პირობებში ცხოვრებით
არის დასუსტებული, ან შეუფერებლის ჯაფით
მოქანცული, ან რომელიმე მძიმე ავადმყოფობით
შეპყრობილი—ხშირად მისი რძე მავნებელია ბავ-
შისათვის; საუმჯობესოა მან ექიმის რჩევას მიმარ-
თოს და მის რჩევაზე გაიაროს. როდესაც ეს

საჭიროა მეცნიერების მოთხოვნით, დედამ
ხელი უნდა აიღოს შვილის ძუძუს წოვებაზე, თუ
ჰსურს თავისი ბავშვის კეთილ-დღეობა და მშვეუტერ-
ხებელი აღზრდა.

ეხლა ჩვენშიდაც ვრცელდება თან-და-თან
ამის შეგნება და ხშირად შეხვდებით, რომ დედა
ბავშს საკუთარ ძუძუს არ აწოვებს—რამე საპა-
ტიო მიზეზისა გამო, რა საქმა უნდა. მეტი წილი
ამ შემთხვევაში ძიძას იყვანს, და მხოლოდ უმცი-
რესობა ხმარობს ძროხის რძეს. რასაკვირველია,
ძიძა უფრო სასარგებლოა ნორჩი აგებულებისათვის,
ვიდრე ძროხის რძე. მაგრამ კარგი ძიძის შოვნა,
მეტადრე ჩვენში, მეტის-მეტად საძნელო არის.
ყველას ისე უყვარს თავისი კერა, თვისი ოჯახი,
რაც უნდა ღარიბი იყოს იგი, რომ საძნელოდ
ურჩება მისი მიტოვება. თუ დიდი გაჭირვება და
ბეჭავი მდგომარეობა არ აიძულებს,—სხვას ძიძად
არ დაუდგება ოჯახის დედა, ისიც იმ მცირე სას-
ყიდლისათვის, რასაც ის ამ ხელობით იშოვის. თუ
წავა ვინმე, მხოლოდ მისთვის, რომ დროებითად
სადმე თავ-შესაფარი აიწინოს და ცოტადენი ფუ-
ლიც იშოვოს გადატაკებული ოჯახისათვის. ხოლო
ამნაირი ოჯახის წევრი ქონებრივ დაბეჭავებასთან
ერთად, არც ფიზიკურად არის მაინცადამაინც კე-
თილდღეობაში. მისი სხეულიც შეწუხებულია ხელ-
მოკლეობის მიზეზით, და ამგვარი სხეული საზრ-
დოსაც ვერ აუჩენს უხვსა და მაწიერს საძიძოდ
აყვანილს; ბევრიც რომ ექნეს რძე, მაინც სათუთაა
მისი ღირსება. ჩვენში-კი, ძიძის ამორჩევის დროს
მხოლოდ იმას გულისხმობენ, თუ რძე ექნება ბევ-
რი და ძუძუები დიდი, და თუ ორივე ეს თვისება
თან ახლავს, ძიძაც სასარგებლო და საიშვიათო
ჰგონიათ. მის სხეულის თვისებას-კი არავინ არ
ჰკითხულობს. ვინ იცის რამდენი ცული ნაკლი
აქვს მის ჯანმრთელობას, რომელიც მან რძესთან
ერთად უნდა გარდასცეს ნორჩ ბავშვს, რომლის
ვითომდა საკეთილდღეოდ იგი მოყვანილია ოჯახ-
ში? ამას არავინ იღებს მხედველობაში—და აქაო
და უკეთესი ვერ ვიშოვეთო, ამ ნაკლოვანსჯერ-
დებიან ხშირად გაუბრთხილებელი მშობლები.
მეორე საზომად ის არის შემოღებული, თუ ბავში
არ ავადმყოფობს. თუ-კი ოდნავ მაინც სუქდება
ბავში ძიძის ხელში—ეს საკმაოა ვითომდა მის ღირ-
სების დასამტკიცებლად. ის კი ავიწყდებათ ხში-

რად, რომ ბავში თუმცა წინანდელთან შედარებით უკეთ არის, მაგრამ შეიძლება ბევრად უკეთესადაც ყოფილიყო, რომ უფრო რიგიანი რძე ჰქონოდა. წონას არავინ გასდევს ჩვენში, რომ ნათლად კვალ-და-კვალ ხედავდეს ბავშვის მომატებას;—საზომად მხოლოდ ის არის მიმჩნეული ლოცვები თუ გაებერა და სახეც დაურგვალდა.

მაგრამ ამგვარ ნაკლოვან ძიძებსაც ვერ ჰპოვებს ხშირად მსურველი და მაშინ უკანასკნელ საშუალებად არის შემოდებული ძროხის რძით ბავშვის აღზრდა. მეცნიერებამ უკვე გაარკვია, თუ როგორ უნდა მიეცეს ბავშვს ძროხის რძე და ან რაწილად შემზადებული. საამისოდ საუკეთესოდ არის მიჩნეული ეგრედ წოდებული სტერილიზაციური რძე, რომელიც მზადდება ამნაირად: ძროხის (ან სხვა რომელიმე პირუტყვის) რძე ბავშვის ასაკთან შეფარდებით წყალ გარეული და ოდნავ დაშაქრული პატარა-პატარა ბოთლებში ისხმება. თვითუღელში იმდენია, რაც საჭიროა ერთ კმევზე. ეს ბოთლები ჩაიდების წყლიან ქვაბში, რომელშიდაც წყალი უნდა წამოდულდეს და წყალთან ერთად, რასაკვირველია, ბოთლებში მყოფი რძეც. ერთი წამოდულების შემდეგ ბოთლებს მაგრად თავი ეცობა კაუჩუკის თავსაცობით, რის შემდეგაც კიდევ არის საჭირო დუღილი ნახევარი საათის განმავლობაში. ამით ყველა შთანასახები, რაც-კი რძეშია დაიხოცებიან, რადგანაც სიცხე მათ სიცოცხლეს უსპობს. ამნაირად ერთ დღე-და-ღამის სამყოფი, შემზადებული რძე ყოველ ხმარების წინად ცოტად უნდა შეთბეს თბილ წყალში ჩადგმით; ბოთლს თავი უნდა მოეხსნას, საწოვარი გაუკეთდეს წმინდად გარეცხილი და ბავშვს მიეცეს. ამგვარად რძის მოსამზადებლად საოჯახოდ არის გამოგონებული ექიმის სოქსლეტის მოწყობილობა, რომელიც ყველგან იზოვება და არც ძვირია. არც ძნელია მისი ხმარება, ოღონდ დიდი სისუფთავა საჭიროა ჭიქების გამოარეცხის შესახებ, რასაც საკუთარი თვალ-ყურის გდება ესაჭიროება—და ამას ყველა არ ჰკისრულობს. უფრო ემარჯვებათ ჩვენში უბრალოდ ქვაბში რძის წამოდულება; შემდეგ ჩაასქენ საწოვარ ჭიქებში და ყოველ წამოტირების დროს აჩრიან ბავშვს პირში. საწოვარი ჭიქა ყოველთვის არ ირეცხება, ხშირად რძე მყავდება და ბავშვისათვის მავნებელი ხდება. გარდა ამისა

ერთად, თავ-ღია ჭურჭელში წამოდულებულ რძეს სამიოდე საათის შემდეგ ხელახლად უჩნდება ახალ-ახალი შთანასახები თვალთ-უჩინარი ცხრველების, რომელნიც ჰაერში მუდამ მრავლად არიან, ჰაერრიდან რძეს ერევიან და მასში ჰპოვებენ საუკეთესო ნიადაგს გამრავლებისათვის. ამნაირად რამოდენიმე საათის შემდეგ ბავში რომ ამ რძეს მიიღებს სტომაქში, ამასთანვე მიიღებს ერთად აურაცხელ გროვას ამ სხეულებისას. მათში შეიძლება ძალიან მავნე თვისების ნაწილაკებიც შეხვდეს—რომელიც მწწრაფლად აჩნს რაიმე ავადმყოფობას; თუ არა და მაინც თანდათან შეიძლება ხელი შეეშალოს წესიერ, ბუნებრივ მონელებას და ბავშვს სტომაქისა და ნაწლავების რაიმე ზიანი გაუჩნდეს. ხოლო თუ ეს მთავარი ნაწილები აიშალა ბავშვის აგებულებაში, მაშინ მის საზრდობას საფუძველი ესპობა და სხეულს საკმაო ძალა არა აქვს სიმედგრის, რომ მრავალ სხვა-და-სხვა ავადმყოფობის ნიადაგად არ გახდეს. ამის მაგალითს უხვად ვხედავთ არა თუ ქალაქებში, არამედ სოფლადაც-კი. ვინც აძლევს ბავშვებს უბრალოდ გადმოდულებულ რძეს, მუცლის და ნაწლავების ავადმყოფობით კვდება მათ შორის უმეტესი ნაწილი. და ბევრიც ისე სუსტდება, რომ სამუდამოდ დაჩაგრული გამოდის ჯანმრთელობის მხრით. რა თქმა უნდა, პატარაობითვე დაჩაგრული აგებულება, სამუდამოდ სუსტს წვევს აძლევს საზოგადოებას. ამით მრავალი მწუხარება აღება დედ-მამის გულს, რომელნიც შვილის ხშირი ავადმყოფობით მუდამ ჯავრში არიან და საზოგადოებასაც თვალსაჩინო ზიანი მოსდის, რადგანაც ღონიერი, მხნე, სიცოცხლით აღსავსე წვევრის ნაცვლად, მხოლოდ სუსტი, მოდუნებული, განახევარ-კაცებული არსება რჩება მას, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეს მხოლოდ იმას-და მოახერხებს, რომ ექიმსა და აფთექას შუა უნდა იქნეს გაბმული. და ეს ვისი ბრალი იქმნება? განა თვითონ იმ დასუსტებულის? არა—მხოლოდ დედ-მამისა და საზოგადოების დანაშაულობაა, რადგანაც ისინი არიან ვალდებულნი ნორჩი აგებულება არაფერს არ დააჩაგრინონ წინ-დაუხედავად და უზრუნველობით. თორემ მერე გულმტკივეულობა და უხვად საავადმყოფოს კარების მათთვის გაღება საკმაო არ არის. მერწმუნეთ, რომ უმრავლესობა ნორჩი ბავშვების, ვინც კი კვდება—შეუ-

ფერებელ და უწესო საზრდოობის მსხვერპლი ხდება და უმრავლესობა, ვინც კი რჩება, მაგრამ დასუსტებულია და ჩამომხმარი ბავშობიდანვე — ესეც მსხვერპლია ამავე უწესო საზრდოობის. ერთიცა და მეორეც დასანანებელია, ერთიცა და მეორეც გულ-საკლავია და შველას მოითხოვს ყოველი რიგიანი ადამიანისაგან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საერთო მოწადინებას დიდი რამ შეუძლია, როგორც ბევრს სწვა რამეში, აგრეთვე ამ საბრალო ძუძუ-მწოვართა ხვედრის გასაუმჯობესებლადაც.

საამისო საშუალებას უკვე მიაგნო განათლებულმა და დაწინაურებულმა ქვეყნებმა. ჩვენ ვიკითხოთ, თორემ მათ რა უჭირთ? მათ ჭკუაც უფრო შორს უჭირსთ და მზრუნველებიც მეტი ჰყავსთ, ვიდრე ჩვენ!.. მაგრამ ეს ისეთი უბრალო საქმეა, რომ ჩვენ ჩამორჩენილ ქვეყანაშიდაც შესაძლებელი შეიქნება მისი აღსრულება.


მოვიყვანთ მოკლეთ ამ საშუალების აღწერას, რომლის აღმოჩენითაც მეცნიერებაც და საზოგადო გულ-შემატკივრობაც ერთად დაეხმარნენ ძუძუ-მწოვართა მწვავე ხვედრს. იქ, სადაც კაცობრიობა თავის მომავალზე ზრუნავს.

შვიდი წლის წინად საფრანგეთის ექიმმა დიუფურმა (ქალაქ ფეკამში) გამართა ერთი დაწესებულება, რომელსაც უწოდა სახელად: „რძის წვეთი“ („goutte de lait“). მიზნად ჰქონდა მას საუკეთესო და ახლა გამზადებულის რძის მოწოდებით შეემცირებია სიკვდილი იმ ძუძუ-მწოვარ ბავშთა შორის, რომელთაც დედები ვერ აწოვებდნენ რაიმე საპატოო მიზეზისა გამო. მის მაგალითს მალე გამოუჩნდნენ მიმბაძვენი და ეხლა, შვიდი წლის შემდეგ 90 ადგილს არის გამართული ამგვარივე დაწესებულება, რადგანაც უტყუარის ნიშნებით ყველა დარწმუნდა მის სარგებლობასა და საჭიროებას ნორჩი ბავშვების ჯანმრთელობისათვის.

დედებმა უნდა მიიყვანონ ძუძუ-მწოვარი ბავშვები ექიმთან დანიშნულ დღესა და საათს. შემდეგ, როდესაც დაიწყებენ ამ დაწესებულებიდან რძის წაღებას, ყოველ სწორზე მიჰყავთ ბავში გასასინჯად და ასაწონად. მათი წონა იწერება, ცალკე ფურცლებზე, რომლის ერთი პირი დედასაც ეძღვევა და თუ რაიმე მიზეზით იგი კლებუ-

ლობს, მაშინ ექიმი ხმარობს შესაფერს საშუალებას. ამნაირის ხშირის ნახვით ავალ-ყურის გდებაშია ბავშის მოვლა და სისუფთავეც. თვითეული დედა იღებს ყოველ დილას პატარა კალათაში ჩაწყობილ შუშებს რძიანს, რიკხვით იმდენს, რამდენ იჯრასად იღებს ბავშვი ოცდათხ საათში, დღე და ღამეში, (ცხრას საზოგადოდ). მეორე დღეს აბრუნებს კალათს ცარიელს შუშებით, (რომელნიც გარეცხილი უნდა იყონ) და იღებს მეორეს სავსეს. თვითეულ კალათას და შუშებს უზის თავისი თარიღი, როგორც ბავშის ჩასაწერ ქალაქდასაც. რძეს არიგებენ დილის ათი საათიდან — შუადღემდე. ფასის გადახდა არის ყოველდღიური. ნისიად არავის რა ეძღვევა. დაკარგულის ან გატეხილის საფასურს ახლის წაღების დროს იხდის ყველა. ფასი რძის შეძლების დაგვარად არის. ღარიბებს სულ ცოტას ახდევინებენ (12 კაპეკამდე დღეში); საშუალო შეძლებისას 20 კაპ. და მდიდრებს 30 კაპეკს. ამნაირად ამ დაწესებულებას საქველ-მოქმედო მიზანიც აქვს — მდიდრების ხარჯით ღარიბებს შეღავათს ანიჭებს. მთელი ხარჯი ამ დაწესებულების რასაკვირველია ამ მცირე გადასახადით არ ანაზღაურდება. ამისათვის კერძო ქველ-მოქმედნი, ანუ თვით ქალაქი ეხმარებიან შეწირულებით და ყოველ წლიური დახმარებით.

„რძის წვეთი“ მეტად სასარგებლოდ იქმნა ცნობილი ყველგან, სადაც კი დაარსეს იგი. ბევრად შემცირდა მუცლის და ნაწლავების სნეულებით ნორჩი ბავშვების გარდაცვალება. განსხვავება წინანდელთან მეტად დიდია მეტადრე დიდ ქალაქებში, სადაც მრავალი იხოცება ამ სენით. ყველგან საჭიროა „რძის წვეთი“-ს დაარსება. ეს არის უბრალო და ძლიერი საშუალება ნორჩი ბავშვების გადასარჩენად და მოსალონიერებლად. ამ საშუალებით ყველასათვის ხელმისაწვდომია მცირეოდენის ფასის გაღებით საუკეთესო, უნაკლო საზრდოის მოპოება თავისი შვილისათვის, რასაც არცერთი დედა არ დაიშურებს, რაც უნდა ღარიბი იქნეს იგი; ან კი რა საანგარიშოა ეს ფასი, როდესაც დამშვიდებული იქნება დედის გული, რომ მის პატარას შიში აღარასფერი მოეღის ცუდის და უფარვისის რძისაგან მოსალოდნელი. ამას ყველა დააფასებს, თვით ღარიბიც-კი. ოღონდ საქმის დაწყება საჭირო და დედებიც, რომელთაც



საჭიროება აქვთ, მალე მიეჩვევიან ამგვარ დაწესებულებას.

მერე რა არის საჭირო ამგვარი დაწესებულების დასაარსებლად? ცოტაოდენი თანხა პირველდაწყებითი, რომელიც სამიოდე ათას მანეთს არ გადააჭარბებს და ყოველ-წლიურად მცირეოდენი შემწეობა ფულით—იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც მარტო რძის გაყიდვით შემოსული ფულით ვერ დაიფარება ანაირად მცირეოდენის მოწადინებით შეიძლება დიდ-მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება—რომლის სასარგებლო შედეგი თვალსაჩინო და უტყუარია.

ჩვენც ძალიან სარგებლობას მოგვითანდა „რძის წვეთი“—რომ გაიმართებოდეს ყოველ ქალაქში და დარწმუნებულიც ვართ ჯერ კიდევ არ გამოლეულა ჩვენში ამგვარი სასარგებლო საქმის მოყვარული და ფულის საქველ-მოქმედოდ დახარჯვის მსურველიც—რომ ეს საქმეც განხორციელდეს ვერ მიეცეს. საჭიროა მხოლოდ მიზანი გაიხსენოს კაცმა და ის სიბრალოლი, რომელსაც ჩვენი გული გრძნობს როდესაც შევხვდებით ნორჩ ასებას დასუსტებულს, გამხდარს, ფერ-მიხდილს, რომელსაც ძლივს რამოდენიმე კვირა-ლა გაუტარებია ქვეყანაზე მოსვლის შემდეგ, რომ ისე მსწრაფლად უნდა განშორდეს მას სამუდამოდ, და თან ჩაიტანოს საფლავში დედის იმედი და მხიარულება. თუ წარმოვიდგენთ რამდენად მადლია ამ ბეჩავევის, უმანკო მსხვერპლად განწირულების დახსნა—მაშინ ძალიან ადვილად უნდა მიგვაჩნდეს არა ერთის, არამედ რამოდენიმე „რძის წვეთი“-ს დაარსებაც.

ექიმი ვ. დ—ძე.



რა დროს უნდა შესრულდეს საიდუმლო ქორწინება?

ამ დღეებში „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი იყო შემდეგი ცნობა: „ზოგიერთ ეპარქიებში მოხდენილ იქმნა განკარგულება, რომლის ძალით სამღვდლოებას აკრძალული აქვს ქორწინების შესრულება საღამოობით; ამ განკარგულების ძალით ქორწინება უნდა სრულდებოდეს დღით, უმთავრესად წირვის შესრულებისათანავე, და ყოველ შემთხვევაში მწუხრის დაწყებამდე, ხოლო მწუხრის და ცასკრის შესრულების შემდეგ ქორწინება არ უნდა იქნეს შესრულებული. „მოსკოვის უწყ.“ 15 ოქტომბერი № 284.

სწორედ სასიხარულო მოვლენაა ეპარქიის მთავრობის ასეთი გონივრული და კანონიერი განკარგულება; ეს განკარგულება სწორედ დროის შესაფერისია, სასულიერო მთავრობის ასეთი განკარგულება ძლიერ დაეხმარება მრევლის მღვდელს იქ, სადაც მას თავისი ღონით და შთაგონებით ვერაფერი ვერ მოუხერხებია ზოგიერთი ურიგო და დროის შეუფერებელი ჩვეულების მოსასპობლად.

კორმჩის წიგნის II ნაწილის 50 მუხლის ძალით, მღვდელს სასტიკად აღკრძალული აქვს „ქორწინების შესრულება ნასადილევს“, „მწუხრის შემდეგ“, არამედ ვალად ედგინება შეასრულოს ქორწინება აღრიანად, სანამ სკამდენ და სვამდენ რამეს, ანუ საღმრთო წირვის შესრულებისათანავე. (იხ. ინსტ. ბლად. პარაგ. 19; პრაქტ. უწმ. სინოდისა 3 დეკემ. 1742 წ. № 28; საეკ. უწყებანი 1889 № 6). ასეთი წესი სავსებით შეესაბამება წმ. ეკკლესიის განზრახვას შთაგონოს ჯვრის დამწერთ, რომ ისინი ლოცვით, მარხულობით, მონანებით და წმ. ზიარებით უნდა მოემზადნენ ახალი ცხოვრებისათვის. თუმცა კანონი ამას ბრძანებს, მაგრამ ქალაქებში და ზოგ დიდ სოფლებშიაც დიდი ხნიდამ შემოდებულია ქორწინების ღამით შესრულება, ზოგჯერ ქორწინება სრულდება ღამის 10, 11 და ხან 12 საათზე. ერთის შეხედვით ღამით ქორწინების შესრულება მაინცა და მაინც დიდი უკანონობა არ არის, მაგრამ საქმით ბევრი ცუდი და ხშირად სამ-

წუხარო შედეგი მოჰყვება ხოლმე ღამით ჯვრის წერას და ამიტომ ღამით ჯვრის წერის აღკრძალვა სწორეთ დროის შესაფერია.

ქორწინების შესრულების დროს შემოდებულ ჩვეულებათა მიხედვით ქორწინებას ხალხი სრულებით არ უცქერის ისე, როგორც საიდუმლოს, არამედ უცქერის მას როგორც უბრალო მღვდელ-მოქმედებას, როგორც სამოქალაქო აქტს, რომლის ძალით დაქორწინებულნი უერთდებიან ერთი მეორეს და სრულებით საჭიროდ არა სთვლიან ლოცვა-კურთხევას, რომ ღმერთმა შეუღელილთ გადმოუვლინოს თვისი მადლი ახალი ცხოვრებისათვის. მექორწინენი და მათი მხლებელნი ისე მიდიან ეკლესიაში, თითქო საღმე ბაღში იყვნენ და გზაზე ეკლესიაში შეუხვიეს, ქალები გამოწყობილნი არიან საბალო ტანთსაცმელში, ზოგჯერ მკლავები და გულმკერდი მთლად ტიტვლები აქვსთ, ხელში უჭერიან მარაო და ძალზე აქრიალებენ, ხელებზე ხელთათმანები აცვიათ. შეიქნება ტაძარში ერთი უზომო ლაპარაკი, სიცილი, შესცქერიან ერთიერთმანერთს, შეიქნება ერთი მითქმა-მოთქმა და ყველა ესეები სრულებით არ შეფერის არც დროს და არც ადგილს. მართალია, ყველგან ასე ურიგოთ არ იქცევიან ეკლესიებში ქორწინების დროს, მაგრამ ერთი-ორი შემთხვევა ოცი და ორმოცის წინააღმდეგ სრულებით სახეში მისაღები არ არის.


თუ თვითონ მექორწინენი და მათი მხლებელნი ხშირად ეკლესიებში ურიგოდ იქცევიან, რაღა უნდა ვსთქვათ გარეშე მაყურებლებზე, რომლებითაც ხშირად ეკლესიები მთლად გაიტენება ხოლმე? «არც ერთი საიდუმლოს შესრულების დროს არ ხდება ეკლესიებში ისეთი უწესოება, როგორც ხდება ქორწინების შესრულების დროს», ნათქვამია ამ რამდენიმე წლის წინად ყოვლად სამღვდლო კალუგის ეპისკოპოსის სიტყვაში (მოსკ. საეკკ. უწყ. № 4). გარეშე მაყურებელთაგან ძნელად რომ ვინმემ პირჯვარი დაიწეროს; უმეტესობას ზურგი აქვს მიშვრილი ხატებისათვის, ტაძარში სუფევს მუსაიფი, ხმაურობა, სიცილი, ყმაწვილები დახტიან ტაძარში, ხშირად გესმისთ ურიგო სიტყვები, — აი სწორედ ასეთი სურათი წარმოუდგება კაცს ქორწინების შესრულების დროს თვით ტაძარში. თუ მექორწინენი დიდი და გავლენიანი ოჯახიდან არიან, მაშინ ასეთ უწესოებას ნაკლებ უენიშნავს კაცი,

მაგრამ თუ მექორწინენი ვინმე ღარიბი და უბრალო ოჯახიდან არიან, მაშინ უწესოება ერთი ორად მეტია ტაძარში; აგრეთვე წესიერება ანუ უწესოება დამოკიდებულია დროზედაც; უფრო დიდი უწესოება ხდება, როცა ქორწინება ღამით სრულდება და ისიც უქმე დღეს, როცა ხალხი მოცლილია.

ასეთ უწესოებას მეტად დიდი და სამწუხარო შედეგი აქვს. ეს უწესოება მართლ-მადიდებელთა ნელ-ნელა უქრობს გულში ტაძრისა და საიდუმლოთადმი პატივსა და კრძალულებას; თუ კი დიდებზე ასეთი ზედმოქმედება აქვს შემოხსენებულ უწესოებათ, რაღა უნდა ითქვას პატარა ბავშვებზე, რომლებითაც უმეტესად გატენილია ხოლმე ტაძრები ქორწინების დროს? სხვა აღმსარებელნი ანუ მწვალებელნი როცა ხედვენ შემოხსენებულ უწესოებათ ჩვენს ტაძრებში, დაგვცინიან, ხელზე იხვევენ მართლ-მადიდებელთა ასეთ საქციელს და წმ. ეკლესიასთან შემოერთების ნაცვლად, უფრო ზიზღით გვიცქერიან მართლ-მადიდებელთ.

საზოგადოდ უენიშნულია, რომ როცა ქორწინება სრულდება დილით ანუ დღისით. ხშირად ასეთ უწესოებათ ვერა ვხედავთ ტაძრებში. თვითონ მექორწინენი და მათი მხლებელნი მომეტებული კრძალულებით იქცევიან და შესაფერათაც არიან ჩაცმულ-დახურულნი. გარეშე მაყურებელნიც ნაკლებად იყრიან თავს და ვინც მოდის, უფრო ზრდილობიანად იქცევა.

ყველა ნათქვამისაგან ერთის მხრით ის დასკვნა გამოდის, რომ როგორც ქორწინების შესრულების დრო, ისე ჯვრის წერის დროს ტაძარში წესიერების დაცვა სრულებით დამოკიდებულია მღვდელზე. მაგრამ თუ საქმეს კარგად ჩაუკვირდებით, მაშინ სულ სხვას დავინახავთ. ძლიერ ძნელია კერძო მოძღვართათვის გამკლავება ისეთ ჩვეულებათა წინააღმდეგ, რომელთაც დიდი ხანია ხალხში ფესვი მოუდგამთ და საუკუნოებით შეესისხლხორცენ ხალხს. სამრევლოთა მღვდლებს შეუძლიათ ურჩიონ, შთააგონონ ხალხს, რომ ქორწინება შესრულებულ იქნეს დღისით, მაგრამ საღამოობით რომ ყველას ჯვრის წერაზე სრულებით უარი უთხრან, ეს მათ არ შეუძლიათ, და ხშირად მათი დარიგება რჩება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. განა მღვდლები არა სთხოვენ ხალხს, ქორწინების დროს ზრდილობიანად მოიქცნენ ტაძარში? ძვირია ისეთი მოძ-



ღვარი, რომელიც ზიზლით არ უცქერდეს ამ უწესობებთან ტაძრებში. თითოეული მღვდელი, როგორც ღვთის მსახურების გარეშე, ისე ეკლესიის კათედრულად ცდილობს ჩააგონოს თავის მრევლს, რომ ქორწინების დროს ისინი ისე კრძალულებით იღვწენ ეკლესიაში, როგორც სხვა საიდუმლოთა შესრულების დროს. მაგრამ ხშირად მღვდლის თხოვნამუდარებას სრულებით ზედგავლენა არ აქვს მრევლზე. ქორწინების დაწყებამდე შეიქნება ტაძარში ხმაურობა, ლაპარაკი, სიცილი; გამოდის მღვდელი და იძლევა დარიგებას, ყველანი ჩუმდებიან. მაგრამ აგერ დაიწყო ქორწინების შესრულება—უცებ იღება ტაძრის კარები და აუარებელი ხალხი შემოდის ტაძარში, იწყებენ ხმა მალა ლაპარაკს, იცინიან, ხმაურობენ. მოძღვრის პირველმა დარიგებამ უბრალოდ ჩაიარა; მღვდელი სწყვეტს საიდუმლოს შესრულებას და ხელმეორედ სთხოვს ხალხს წესიერება დაიცვან. პოლიციელების მოპატიჟება ტაძრებში წესიერების დასაცველად არ შეეფერება იმ დამოკიდებულებას, როგორც უნდა იყვეს ქრისტიანებსა და ტაძრის შორის, მაგრამ ხან-და-ხან იძულებული ხდება კაცი, რომ პოლიციამ არ შემოუშვას ტაძარში მაყურებლები.

მრევლის მღვდლებს თავის თავად არ შეუძლიათ, რომ საღამოობით ქორწინების შესრულება სრულებით მოსპონ თავიანთ განკარგულებით, ვინაიდან ეს ჩვეულება საუკუნოებით შესისხლხორცებია ჩვენს ხალხს. ამიტომ სწორედ დიდის სიხარულით უნდა მიეგებოს კაცი ეპარქიის მთავრობის ზემოაღნიშნულ განკარგულებას, რომელიც დამყარებულია კანონზე და რომელიც ყოველ ადგილს უკრძალავს სამღვდლოებას საღამოობით ქორწინების შესრულებას გარდა ზოგიერთ შემთხვევათა, რომლის შესახებ ყოველთვის გამოთხოვნილ უნდა იქნეს ნებართვა ეპარქიის მთავრობისაგან.

„მწამის“-ს.

მინდა შენ განდო მამაო, მე სავალალო დარდები, რომ მითი შევიმსუბუქო სევდა ჩემ გულში ნადები.

ნათქვამი არის, რომ კმუნვა წარმოთქმით განიკურნისა, მისთვის მოგმართავ—მგრძნობი ხარ ჩემგან ქვემოთე თქმულისა.

სად არის მცნება მაცხოვრის, კაცთათვის დაწესებულთ; სად არის მისი სიტყვები სახელმძღვანელოდ მცნებულთ.

სად არის მამა-პაპურიც ზნე და თვისება ჩვეული; სად არის მისი ნაყოფი სისხლ-ხორცი მშობლის სეული.

ვხედავ რომ ცხოველ აზრების ნაცვლად მტრობა და შურია, აღარც გატანა, ერთობა, ძმობა და სიყვარულია.


მის წილ სუფევენ ძულვილი ის ეშმაკური კრულია, ერთისა ტანჯვა-წამება მეორეს სიხარულია.

აი, მოძღვარო, ეს არის ის სავალალო დარდები, ეს არის სევდა უკურნო ჩემს გულში მწარედ ნადები.

ამისათვის გთხოვთ, მამანო, ითხოვთ განკურნებანი,— რათა მოგვმადლნეს გზაცდომილთ ქეშმარიტს გზაზედ რებანი,

რომ უნდო სურვა-წადილის აღიფხვრას მრავალ წყებანი, სიყვარულს გული მოეგოს და სათვისტომო რგებანი.

თ. როსტომ ჩიქვანი.





ზოგა ქრისტესი.

„დიდება მალალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“...

ცხრამეტ საუკუნეზე მეტია, რაც ეს საგალობელი გაისმა ანგელოზებისაგან ზეცათა შინა და რომელი ვალობითაც ეუწყა კაცობრიობას დაბადება ქვეყნად ქრისტე მაცხოვრისა, რომელიც მოუვლინა ღმერთმან კაცობრიობას ცოდვებისაგან გამოსახსნელად. ამ დროიდან ქრისტიანები ყოველთვის გაიმეორებენ ამ საკვირველ ანგელოზების ვალობას.

დადგა უკვე მეოცე საუკუნე, რაც ქრისტიანები გრძნობენ ღვთის მოწყალებას და სახიერებას.

ცხრამეტი საუკუნე სრულებით საკმარისია, რომ კაცობრიობას ეგრძნო და შეეტყო ღვთის სახიერება, მისი აურაცხელი მოწყალება და თავისი ცხოვრებაში განეხორციელებია ქრისტიანული იდეა და სათნოება...

ქვეყნის და კაცობრიობის გაჩენიდან განვლო მრავალმა დრომ. დაივიწყეს ქვეშაარტი ღმერთი მცირე ებრაელთა გარდა ყველა ხალხმა და აღიარებდნენ სხვა-და-სხვა სარწმუნოებას. ზოგიერთი სარწმუნოება, როგორც მაგალითებზე ბუდას სარწმუიოებაა, დიდი ხანი არსებობს და ამისათვის ყველა სარწმუნოებაზე მეტი აღმსარებელი ყავს (ბუდისტები სულ 426 მილიონია). მაგრამ არც

ერთი სარწმუნოება ისე ჩქარა არ გავრცელებულა ქვეყანაზე, როგორც გავრცელდა ქრისტეს სარწმუნოება. დღეს ყველა აღსარების ქრისტიანები ქვეყანაზე ირიცხებიან 509 მილიონამდე თითქმის ყველა სხვა სარწმუნოების ნახევარზე მეტი. სამწუხაროდ, ჯერეთ კიდევ ყველა ქრისტიანეთა შორის არ არსებობს ის ნამდვილი და ქეშმარიტი ძმობა და სიყვარული, რომელსაც ყოველ დღეს გვიქადაგებს ჩვენ სახარება.

არც ერთ სარწმუნოებას არ შეუძლია ისე შეუწყოს ხელი კაცობრიობას სწავლა-მეცნიერების მიღების საქმეში, როგორც ეს შეუძლია ქრისტეს სარწმუნოებას. დიღია ქრისტიანობა! დღეს რომ ქრისტიანები მარტო წოდებით არ იყვნენ ქრისტიანები, არამედ „რჩეულნი“ და ნამდვილი სახარებისებური ქრისტიანები იყვნენ, რა ბედნიერი იქნებოდა ყველა! მოსპობილ იქმნებოდა ყოველი ცუდი საქმე ურთ-ერთშორის და ნამდვილ დამყარდებოდა „ქვეყანაზე მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ქრისტეს დაბადების დღე არის—დღე სიმართლის გამარჯვებისა უმართლოებაზე, კეთილისა ბოროტებაზე, სიყვარულისა სიძულვილზე, სინათლისა სიბნელეზე. გვრწამდეს ყველას, რომ დადგება დრო ყოველ ხალხთათვის საზოგადო სიმართლის დღესასწაულობისა...

დ.კ. დ. ღამბაშიძე.

† ნეკროლოგი

30 დეკემბერს, მარტვილში საგვარეულო აკლდამაში დასაფლავეს სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის უმცროსი ძმა გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი უგანათლებულესი თავადი გრიგოლ ლევანის ძე დადიანი. განსვენებული თავადი დაიბადა 1814 წელს. განათლება მიიღო მისი უდიდებულესობის პაჟთა კორპუსში. ახლად განსვენებულმა დატოვა შემდეგი ანდერძი:

1) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ ამან დააწესოს სამარიდის მუზეუმის საუკეთესო თხზულებისთვის ქართულ ენაზე (პრემია მიეცემა ორ წელში ერთხელ) 3000 მან.

2) იმავე საზოგადოებას სენაკის საახნაურო სკოლისთვის 1500 მან.

3) ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელს, სტიპენდიად 3000 მან.

4) კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აღსაზრდელად მანუჩარ დადიანის ჩამომავალთა, ფონდი 3000 მან.

5) ლაილაშის სასწავლებელს 1000 მ. დაბა ზუგდიდს, ლარიზებისთვის, ფონდი 2000 მან.

6) ქუთაისის ლარიზთა დასარიგებლად 500 მ.

7) გელათს, მოწამეთას და ცაიშს 300 მან.

8) თეკლათის დედათა მონასტერს 200 მან.

9) ოქრო და სხვა ძვირფასი ნივთები უნდა გაიყიდოს და შემოსრული ფულიდან გაკეთდეს კანკელი მარტვილის ტაძარში.

10) მარტვილისავე მონასტერს უანდერძა განსვენებულმა მამული ლეხერა, ლეჩხუმის მაზრაში, რომლისაგან მონასტერს ექნება ყოველ წლიური შემოსავალი 200 მანეთი.

11) ყოველი უძრავი ქონება განსვენებულისა, გარდა ქუთაისის სახლისა, გადაეცემა უგანათლებულესს თავადს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მინგრელსკის, სამეგრელოს თავადის შვილს. ქუთაისის სახლი ერგო ანდერძით უგანათლებულესის თავადის კონსტანტინე ლევანის ძის დადიანის შვილებს გრიგოლს და დავითს.

ქუჩნალ-გაზეთებიდან.

სამხრეთ-აფრთხა. ბურები ისეთი ვაჟკაცები არიან, რომ უკეთესი ნულარ გინდათ. მაგრამ ვაჟკაცობასთან ნამდვილი კაცური კაცებიც არიან. თითონ მოსისხლე მტრებიც კი ძალა-უნებურად აქებენ იმათ რაინდულ ქცევასა და კიი კაცობას. აი სწორედ ასეთი ნამდვილი კაცი-აღამიანი ყოფილა ბურების სარდალი კრიუცინგერიც. როგორც გაზეთები სწერენ, ახალგაზდა სარდალს ერთი თავისი ამხანაგის გადარჩენა მოუწოდებია, ამ შველის დროს დაქ-

რილა და ინგლისელებს ხელში ჩაეგარდნია. ინგლისური გაზეთები სწერენ, კრიუნციგერი ნამდვილი გამირივით მოიქცაო.

თვით შოკინისტური გაზ. „დელი მილ“-ი დაწერილებით ახასიათებს კრიუნციგერს და ამბობს, რომ მეტად თავაზიანად და ლომობიერად ექცეოდა ტყვეებაო. ვასაც კი ტყვედ წაიყვანდა, სამი დღის შემდეგ ყველას ანთავისუფლებდა და ყოველთვის სურსათსაც გაატანდა ხოლმე თანა. თუ ტანისამოსს ართმევდა, იმ წამსვე რაც ღირდა, იმდენ ფულსაც დაუთვლიდა ხოლმე.

კრიუნციგერმა ერთჯერ ერთი პატარა რაზმი დაატყვევა. ბურემის სარდალი და მისი ჯარის-კაცები ისე კარგად ექცეოდნენ ტყვე ინგლისელებს, რომ სწორედ თავი შეაყვარეს. როცა განთავისუფლდნენ და შინ წასვლა დააპირეს, ინგლისელებმა ხმა მალა გამოუცხადეს პატივისცემა და სიყვარული თანთან სტუმართ-მოყვარე «მტერსა»; კრიუნციგერმაც პატივის ცემის ნიშნად, შლიაპა მოუხადა განთავისუფლებულ ტყვეებს.

მეორე ჭაბუკი სარდალი შეფერსიც დიდ განსაცდელშია ჩაეგარდნილი. ხომ იცით: ათას წილად სიკვდილი სჯობს კიტჩენერის ხელში განსაცდელსა. გრაფ რეინეტიდან იწერებინან: შეფერსის საქმის გარჩევა, ეს არის ახლა დაიწყეს. ბურემის სარდალს ბევრს დიდ ბრალსა სდებენ: კაცების დახოცვას, მატარებლების გადაჩეხას, ცეცხლის წაკიდებას და ბევრს კიდევ სხვა მძიმე დანაშაულსა.

ბურემის სარდალი პროტესტს აცხადებს: სულ ტყუილად მბოროლებენ მაგ დანაშაულებსაო, ნება არა გაქვთ, ისე მომექცეთ, როგორც ყაჩაღსაო. თითონ ინგლისელები ამბობენ, რომ სასამართლოში შეფერსი საკვირვლად დინჯად, თავდაჭერით იქცევაო. ისე უჭირავს თავი, „როგორც წმინდა ინგლისელსაო“. ინგლისელს მეტად უნდა მოეწონოს კაცი, რომ ამ სიტყვით აქოს.

შეფერსი—ხომ იცით კიდევ—სულ 23 წლის ახალგაზდაა. ავადმყოფობის ღროსაა დატყვევებული, ეხლაც კიდევ ავადაა და ამიტომ სასამართლოში სავარძელში ზის და მოსამართლეებსაც მჯდომარე ელაპარაკება. ნიჭიერი სარდალი სრულებით არხეინად ელის სასამართლოს განაჩენს, თუმცა კი შეიძლება შეფერსსაც სხვა სარდლებივით მეტად სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტონ.

ბურები სთხოვენ სახელმწიფოებს, თქვენა დახმარება არ გვინდა, ოღონდ თქვენ ინგლისსაც ნუ შეეწევით: ცხენებს, ჯორებს და სამხედრო სურსათს ნუ მიჰყიდით, ნეიტრალიტეტი მტკიცედ დაიცეთ, ოღონდ ტოლს კი ნუ დაგვიდებთ და ჩვენ ვიცით და ინგლისელებმაო, დეე, გასწყდეს, სადაც წვრილიაო. მაგრამ სახელმწიფოებმა ეს მცირე შემწეობაც კი არ მისცეს ბურებს. ინგლისი თითქმის ყველა სახელმწიფოში დაუბრკოლებლივ ჰყიდულობს ცხენებსაც, ჯორებსაც და სამხედრო სურსათსაც. გაზეთი «ტაიმს»-ი სწერს: 1 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე ინგლისის მთავრობამ შეერთებულ შტატებში 143,050 ცხენი და ჯორი იყიდა, სულ 25 მილიონი მანეთისა და სამხრეთ-აფრიკაში გაგზავნაო.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * რუსეთის საკრედიტო საზოგადოებათა კრების ანგარიშიდან სჩანს, რომ მთელს რუსეთის მემამულეთ 1900 წლისათვის 1.351,518, 884 მან. ვალი ჰქონიათ მიწისა; ყველა საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული ყოფილა 43.507,745 დესეტინა მიწა; უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში მემამულეთ მომატებიათ 307 მილ. მან. ვალი. 14 სააქციონერო საადგილ-მამულო ბანკს 1900 წელს მოუგია—12.045,384 მან.

* * * ზურმუხტის მადნების მეპატრონეთ შემოულიათ რენტგენის სხივებით მუშების განათება იმის აღმოსაჩენად, ხომ არ გადაუყლაპავს მუშას ზურმუხტო. ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია—ამგვარ საშუალებას მადნების პატრონები ნუ მიმართავენ, რადგან გამოუცდელ ექიმის ხელში რენტგენის სხივის ხმარება ვნებას მოუტანს მუშის ჯანმრთელობასაო.

* * * ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო, რომ ერთის წლის განმავლობაში საზღვარ გარეთიდან მემამულეების მიერ უბაჟოდ იქმნას გამოწერილი სეტყვიან ღრუბლის გამფანტავი მოორტირებო.

* * ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი ბ. მამონტოვი და პიატიგორსკის პროგიმნაზიის დირექტორი ბ. კოლენკო გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორის ადგილზე. დიდად სამწუხაროა ისეთი კეთილი გულის კაცის მოშორება და შორს გადაყვანა, როგორც ბრძანდება ბატ. მამონტოვი...

* * „ივერია“ (იხილეთ 26 ნომერი) გვაცნობებს, რომ სამრევლო სკოლების შესანახად გადაღებულია 31/2 მილიონი მანეთი. 31/2 მილიონი მანეთის მიცემა სამრევლო სკოლების შესანახად, წინა წლებში იყო გარდაწყვეტილი და სახელმწიფოს სხვა ხარჯთა შორის იყო ნაჩვენები. წინეთ გადაღებული ფულებია ეს თუ კიდევ სხვა? წარსულ წელში ეს ფულები სრულებით არ გარდაუციათ სინოდისათვის ჩინეთის ომის გამოისობით...

* * „ივერია“ დიდ აშხად მოგვითხრობს, რომ რაქაში სხვაგვარ მღვდელს მეტ—ველას ნებართვა აუღია გუბერნატორისაგან იაფ ფასიანი წიგნთსაცავსამკითხველოს დაარსებისათვის!..

* * 1661 ნომრიდან «ცნობის ფურცელი» ბ. ჯაბაძარის დროებითი რედაქტორობით გამოდის. ბ. ჭყონიას, რკინის გზის ვეჟილს თავი დაუხეობია რედაქტორობისათვის.

* * ს. კავთის ხევში (გორის მაზრა) სამს ახალგაზრდა ქართველს, როგორც „ივერია“ გვაცნობებს, განუზრახავთ მოჰკიდონ ხელი ფრინველთა მოშენებას. ამ საქმისთვის ინკუბატორი (წიწილების გამოჩეკელი მანქანა) უკვე გამოუწერიათ გერმანიიდან და მოკლე ხანში მოქმედებასაც დაიწყებენ. ჩვენის აზრით, ქათმის მოშენებას ჩვენში ინკუბატორის უქონლობა არ უშლის ხელს. კვერცხის, ქათმის საკვების და მომვლელის უმექონებლობა აჭირვებს საქმეს, თორემ ყველა ესეები რომ ადვილი საშოვარი იყოს, მაშინ უინკუბატორიოთაც ქათმების მოშენება ადვილად შეიძლებოდა.

* * როგორც „ივერია“ გვაცნობინებს, მთავრობის ბრძანებისამებრ ტფილისის პოლიცემისტერს განკარგულება მოუხდენია, რომ ქალაქის შენობების პატრონებმა მეფხოვეებად უსათუოდ სამსახურიდან გამოსული სალდათები დაიქირაონ. ეს განკარგულება უნდა ასრულონ მომავალ წლის 16-ს იანვრიდან, ე. ი. მეფხოვეთა ინსტიტუტის შემოღებისათანავე.


სასურველია, ქალაქის გამგეობა ახლა მაინც გამოფხიზლდებოდეს და ხელს მოჰკიდებდეს მეფხოვეთა საქმის გარიგებას. ჩვენში ბევრი მოიძებნება სალდათად ნამსახური ახალგაზრდა. სასურველია მათი მეფხოვეებად დაქირავება, მეტადრე ამ განკარგულების შემდეგ, რადგანაც ტფილისის წვრილმან შენობების პატრონთ ბევრს იმდენად სამშობლო ენის გარდა სხვა ენისა არა ესმისრა, ასე რომ, როსტოველი, თუ მეფხოვედ დაუქირავეს, ერთი თარჯიმანიც მეფხოვესთან გამოსალაპარაკებლად დასჭირდება.

* * როგორც „ცნ. ფ.“ იტყობინება, 14 დეკემბერს ს. მარტყოფში (ტფ. მაზრა) უკურთხებიან საავადმყოფო თავშესაფარი, რომელიც გლეხთა საზოგადოების ხარჯით დაარსებულა და იმათივე ხარჯით შეინახება. საკუთარი შენობაც დაუთმიათ ამ დაწესებულებისათვის. კურთხევას დასწრებია ტფილისის გუბერნატორი ბ. სვეჩინი, გუბერნიის ექიმი ბ. ქიქოძე და მაზრის უფროსი თავადი ჯანდიერი. ყველგან შეიგნეს საავადმყოფო თავშესაფარის სარგებლობა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, შორაპნის მაზრაში ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს ეს. ვერ შეიგნეს ის, რომ რაც წამალში ეხარჯებათ, მის მეტი არ დასჭირდებათ ავადმყოფთა თავშესაფარის ხარჯად...

* * სადამოყნო ცნობებიდან სჩანს, რომ ამ მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში შორაპნის მაზრიდან გაუტანიათ საზღვარ-გარეთ 17.223,819 ფუთი მარგანეცი, მაშინ როდესაც ამავე თვეების განმავლობაში წარსულ წელს გატანილი ყოფილა 20.363,699 ფუთი მარგანეცი, ე. ი. რვა თვეში გატანილი მარგანეცი შემცირდა თითქმის 3.140,000 ფუთით.

* * სასულიერო მთავრობას განზრახვა აქვს სამრევლო—საეკლესიო სკოლების მზრუნველებს უფრო დიდი უფლება მიანიჭონ, ვიდრე აქამდე ჰქონდათ. ფიქრობენ აგრეთვე იგივე მზრუნველები მიიწვიონ ხმის უფლებით სამღვდლოების კრებებზე, როცა განსახილველად დანიშნული იქნება სკოლების შესახებ საკითხნი („Кавк.“)

* * უწმიდესს სინოდს დაუმტკიცებია საქმე ხარფუხში ტფილისის სასულიერო სამასწავლებლო ინსტიტუტის შენობის იჯარით გაცემისა 86,000 მანეთად. ამ ფასად იჯარის ასრულება იკისრა იაკუბოვიჩმა.



* * ვიატკის შინაღ მრეწველთა არტელს მიუწერია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომ ხუთ-ხუთ მანეთად მოგაწოდებთ დადანის სისტემის თითოეულ სკას, თუ ჩვენგან გამოიწერთო. ტფილისის მეფუტკრეობის სადგურში ამზადებენ ასეთსავე სკებს, ოღონდ მათ ერთი-ორად უფრო ძვირად უჯდებათ. ურჩევთ ჩვენი ეპარქიის მეფუტკრეთ—ბბ. იოსებ წერეთელს, ვ. აბრამიშვილს და ბ. იაკობაშვილს, თუ ფუტკრები ჰყავთ ისარგებლონ ამ სკებით.

* * ამ თვის 17-დან ტფილისში სხდომა ჰქონათ სამღვდლოების დეპუტატთა 1899 წლის კრებაზე არჩეულს იმ კომისიას, რომელსაც დავალებული ქონდა შეცვალოს ეხლანდელი „დრამის“ ფორმა და გადახდევინების წესი. პრინციპიალურად გადაწყვეტილია, რომ ნატურალურ გადასახადის მაგიერ ფულად გადახდევინონ მრევლის კაცებს სამღვდლო პირთა გასამრჯელო და თუ ეს რაიმე მიზეზის გამო არ მოხერხდა, იმ შემთხვევაში უნდათ დაადგინონ, რომ ადმინისტრაციას ეთხოვოს—მან იკისროს დრამის მოკრება, რომ მღვდლებს პირდაპირ გადახდელთან არ ჰქონდეს საქმე.—კომისიას შეადგენენ: დეკანოზი ნაზაროვი ყარსიდან, ბლალოჩინები: ტატიევი და ციკქიშვილი გორის მაზრიდან, ბლალ. ღვთისთავარიშვილი და მღვდელი ნათაძე—სიღნაღიდან და რობიტოვი თელავიდან, ბლალ. გრძელიშვილი თიანეთიდან, მღვდლები: ტყემალაძე, დავილოვი, ჯაჯანიძე და ასათიანი.

* * უწმიდესს სინოდს მომავალის 1902 წლისათვის საქართველოს საეპისკოპოსოს საეკლესიოსამრევლო სკოლების საქიროებათათვის ვადაუდგია 150,000 მანეთი. აქედან ქართლ-კახეთის ეპარქიის სკოლებს ერგებათ 50 ათასი მანეთი, იმერეთისას 34 ათასი, გურია-სამეგრელოსას 34 ათასი მან. და სოხუმის ეპარქიისას კი—31 ათასი მანეთი. სოხუმის ეპარქიაში სამოცამდე ითვლება მრევლის ეკლესიები და გურიასა და იმერეთის ეპარქიებში 500 შტატის ეკლესიამდე.

* * ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სტეფანე ჰყიდულობს სასულიერო სემინარიისათვის სააგარაკო ადგილს მცხეთაში წმ. ნინოს საყდრის ახლოს, კუზმინის მამულში. მოკლე დროში შეუდგებიან ამ ადგილზედ

სახლის აშენებას. როგორც ამბობენ, სააგარაკო სახლი და ადგილი 6 1/2 ათასი მანეთით დაჯდებაო.

* * უწმ. სინოდში უკვე გაგზავნილ იქნა ახალი პროგრამა გამოსაცდელათ იმ პირთა, რომელთაც სურთ მღვდლის, მთავარ-ღიაკენის და მეღვთის ადგილის მიღება. ეს პროგრამა უფრო რთულია და ვრცელი აქამომდე არსებულს პროგრამაზე.

* * რედაქციამ მიიღო მე-12 № საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა“ შემდგეის შინაარსით: წინასიტყვაობა—აკაკისა, ვირი—ლექსი აკაკისა, სამაგიერო (ამბავი)—თ. რაზიკაშვილისა, წარღვნა (ოვიდიუსიდან)—ა. ყუმისთაველისა, შერყეული თომა—მოთხრობა ან. წ—სა, მტრედის და კატის მეგობრობა (რუსულიდან) ლედი ჯენ (მოთხრობა)—გაგრძელება—ელ. წერეთლისა, მამაი (რუსულიდან), მცენარე და მისი ცხოვრება—ი. გომართელისა, წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები და შარადები.

* * პეტერბურგის გაზეთები იტყობინებინ, რომ სახელმწიფო საბჭოს წარდგინა პროექტი სასულიერო პირთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. წელს ამ საქიროებისათვის განზრახვა აქვთ გადასდონ ნახევარი მილიონი მანეთი.

* * ჩვენ შევიტყვეთ, რომ თფილისის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სტეფანე რუსეთში გადაყავს ქორ-ეპისკოპოსის ადგილზე.

* * ხმები ისმის, რომ სინოდალნი კანტორის წევრის—არქიმანდრიტი კესარიის ადგილზე, ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი—არქიმანდრიტი გიორგი ინიშნება.

* * ხმები ისმის, რომ ერთი წევრის ადგილი კიდევ დაიცლება სინოდალნი კანტორაში. ყველამ იცის, რომ დასავლეთ საქართველოს სამღვდლოების წარმომადგენელი წევრი კარგა ხანია აღარავინ აღარ არის კანტორაში. ვინაიდან კანონით ერთი ვინმე იმერეთიდან ან სამეგრელოდან უნდა იყოს წევრად, იმედია ეხლა მაინც დაინიშნება მთავრობისაგან დასავლეთ საქართველოს რომელიმე მონასტრიდან წინამძღვარი.

ამ ნომერთან იგზავნება აღთქმული პრემია—დიდი სურათი ეპისკოპოსის ლეონიდისა.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საღმრთოებებსა და კეთილზნობაზე.

ს ი ბ უ ვ ა,

ითქვას ორს დეკემბერს ქუთაისის საკრებულო ტაძარში წმიდათა შორის ისე წიგნის ეპისკოპოსის სსენების დღეს.

მამა წმინდა ისე, ნუ მოაკლებ საფარველსა, კურთხევასა და შეწევნასა შენსა მონათა შენთა მორწმუნეთა ქართველთა (სადღესასწ. ორს დეკემბერს).

წარსული კვირიაკის მოძღვრებაში ვიხსენიებდი, რომ სხვათა მართლ-მადიდებელთა ეკკლესიათა შორის საქართველოს ეკკლესია ერთობ მდიდარია წმიდანებისა, ნეტარებისა და მოწამეთა შესანიშნა სახელებით, გაბრწყინებულია ამ სანატრელ პირთა ანგელოზებრივი ცხოვრებით და სასწაულ-მოქმედებით, განმტკიცებულია მათი საღმრთო მოძღვრებით და სწავლა-დარიგებით. დღეს ღვთის კურთხეული განგება მაძლევს ბედნიერ შემთხვევას ზემო მოყვანილი აზრი, გამოთქმული გაკვრით, განგიმარტოთ დაწვრილებით, დაგარწმუნოთ მისს სინამდვილეში, ტხადად დაგანახოთ სულიერი წარჩინება სამშობლო ეკკლესიისა, რათა ამითი აღვიძრათ მეტი სიყვარული, მეტი ერთგულება და მორჩილება მისდამი (ეკკლესიისადმი), დაგიბადოთ სურვილი მშობლიო ეკკლესიის სახელოვან მოღვაწეთა გაცნობისა, მათი სულიერი ღიადობის შეგნებისა და მათი საკვირველი ცხოვრების შეთვისებისა. საქართველოს ეკკლესია ასრულებს დღეს წმიდათა შორის მამისა ჩვენი-სა ისე წილკნის ეპისკოპოსის ხსენებას. მამა და მოძღვარი ჩვენი ისე ეკუთვნის იმ მადლ-მოსილ

პირთა გუნდს, რომლებიც ჩვენ ეკკლესიაში ცნობილ არიან ათთომეტ ასურელ მამებსა და ცხოვრება და მოქმედება დღევანდელი წმინდანისა მტკიცეთ და განუშორებლად არის შეერთებულ შეკავშირებული ათორმეტ მამათა მოქმედებასთან. ვისაც ცოტათ თუ ბევრათ შესწავლული აქვს ჩვენი ეკკლესიის წარსული, იმას წმ. ისეს სახელის ხსენებაზე აუცილებლივ მოაგონდება მთელი გუნდი ათორმეტ მამათა, მისს მესსიერებაში აუცილებლივ წარმოსდგებიან ერთი-მეორეზედ — სიქადული ქართველთა ნათესავისა, მამათ მამა იოანე ზედაზნელი, სახე სინანულისა და ქრისტიანული სიმდაბლის მადლით აღვსილი ღირსი შიო, მშვიდობისა ყვაილნი პირროს ბრეთელი და მიხიელ ულუმბელი, სვეტი სარწმუნოებისა თადეოზი და წალკოტი სულიერთა სიკეთეთა ისიდორე, მარხვისა მშვენიერებით მოსილი დავით გარესჯელი და მარტომყოფობის სიმტკიცე ანტონი, გვირგვინი ჟმანკოებისა აბბა იოსებ ალავერდელი და კანონი მორჩილებისა ზენონ იყალთოელი, საღმრთო მეცნიერებით აღვსილი სტეფანე ხირსელი და წმინდათა მოწამეთა გვირგვინით შემკული აბიბოს ნეკრსელი.

მეტად დიდებულს და საკვირველებათა აღვსილს სურათს წარმოადგენს ამ ნეტარ მამათა შემოსვლა ჩვენ ქვეყანაში. იგინი ანებებენ თავს თავიანთ სამშობლოს, — ასურეთის ქვეყანას, — და, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ჩაგონებით, ფეხშიშიშველნი, ძაძა მოსილნი, ბერული კუნკულებით დაბურთულნი, სრულებით მოკლებულნი ქვეყნიურ სიმდიდრეს, მოემართებიან საქართველოსკენ და აჰა საკვირველება, აჰა განგება ღვთისა! მათი მიღება, მათი პირველი შეგებება წილად ხედა მცხეთას, რომელიც ცნობილია, სხვათა შორის, იმითი, რომ საქართველოს ქალაქთა შორის მან პირველმა სცნო და აღიარა ღვთაება ჩვენთვის განხორციელებულისა, ჯვარ-ცმისა და სიკვდილის დამთმენისა იესო ქრისტესი, პირველმა აღიძარათა თაყვანის საცემლად ჯვარი ქრისტესი, პირველმა დაუმორჩილა გული და გონება თვისი ნეტარი დედა ნინოს ღვთაებრივ ქადაგებას. ანგელოზმა აუწყა მცხეთის კათალიკოსს, ნეტარ ველავიოზს, — ასურელთა მამათა შემოსვლა მცხეთის საზღვრებში; კრებულით და ქრისტიანეთა სიმრავლით გაეშურა კათალიკოზი უცხო პირთა

მისაღებად და იხილა თუ არა წმინდათა გუნდი, მხიარულებით მიემშვიდობა მისს უმფროსს,—იოანეს, შეიტკბო იგი, ვითარცა შვილი, და ჰრქვა: „მე უფალმან მაუწყა მოსვლისათვის შენისა და აწ ვმადლობ ღმერთსა, რომელმან მოაგვინა სიწმინდე შენი, რათა წარუძღვე მრავალთა სულთა მეცნიერებითა ღვთისათა და განსწავლნე ქვეშარიტსა შინა ცხოვრებასა, რომელი მიიყვანებს სასუფეველად ცათა და ქვეყანისა“.

გამო მცხეთელებისაგან, სასწაულებრ გავიდნენ მღინარე არავს და დაბინავდნენ საცხოვრებლად ზედაზნის მალალ და გაუტეხელი ტყით დაბურულ მთის წვერზედ. მაგრამ განგებამ მოითხოვა ზოგიერთი მათგანის გამოსვლა სოფელში სარწმუნოების კეთილდღეობის სამოღვაწოდ.

წილკნისა და ნეკრესის ეპისკოპოსები მიიცივალნენ; კათალიკოზი ევლავიოსი ლოცვითა და მარხულობით შესთხოვედა უფალს გარდაცვალებულ მღვდელ-მთავართა სამაგიერო ღირსეულ პირთა ჩვენებას და აი ამ ღროს მას გაახსენდა ანგელოსთა მსგავსი ასურელ მამათა გუნდი. მან გადსწყვიტა: ავალ წირვის ღროს ზედაზნის მთაზედ და ვინც მწირველი იქნება, მას ჩავაბარებ ეპისკოპოსობის დაკლილ ალაგებსო. ნათქვამი აასრულა. მწირველები იყვნენ: მღვდელ-მონაზონი აბიბოსი და სამღვდლო დიაკონი ისე. კათალიკოზმა მოჰკიდა მარჯვენა ხელი აბიბოსს, მარცხენა—ისეს, ამბორს უყო პირველს და ჰრქვა: „გიხაროდენ ეპისკოპოსო ნეკრეს ქალაქისაო“; მერე ეამბორა ისეს და უბრძანა: „გიხაროდენ ეპისკოპოსო წილკნისაო“ ძალიან სამძიმოთ დაურჩათ ამ ნეტარ მამათ კათალიკოზის ბრძანების შესრულება, მაგრამ რადგანაც მიიღეს ნებართვა და კურთხევა თავიანთი მოძღვრისა და მამისა იოანესი, სწრაფლ დაემორჩილნენ კათალიკოზის სურვილს, მიიღეს ტვირთი ეპისკოპოსობისა და განშორდნენ დიდი მწუხარებით თავიანთ მოძღვარს.



ღირსი მამა ჩვენი იოანე ზედაზნელი.

ნეტარმა იოანემ, რომელიც კათალიკოზს არ იცნობდა და ქართული ენა არას ოდეს არ გავგონა, უწოდა კათალიკოზს ნამდვილი საკუთარი სახელი და მამობრივი სიყვარულით შეგებებისათვის გადუხადა მას ქართულად ფრიადი მადლობა. დაჰყვეს რა რაოდენიმე უამი მცხეთაში თაყვანის საცემლად საკვირველთმოქმედი სვეტი-ცხოველისა და იმ ალაგებისა, სადაც არა ერთ გზის ელოცნა, ემარხულა და ეფრქვია ცრემლი ღმობიერებისა ღირს დედა ნინოს, ღირსნი მამანი, დიდად შეყვარებულნი სათნო ცხოვრებისა და სულიერი მოღვაწეობისა

მაგრამ ნეტარ ისეს ერთხელ კიდევ შეხვდა სიცოცხლეში ღირსი იოანეს ნახვა, ხოლო არა ზედაზნის მთაზედ, არამედ ღირსი შიოს საფანეში. აი ვარემოება ამ შემთხვევისა: ღირსმა მამა იოანემ მიიღო ბრძანება ყოვლად წმიდა მღვთისმშობლისა და ნეტარი დედა ნინოსი, რომ ზედაზნის მთაზედ მარტოდ დარჩომილიყო და მოწაფეები გავგზავნა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში სარწმუნოების განსამტკიცებლად. რასაკვირველია, იოანემ დაუყოვნებლივ შეასრულა საღმრთო ბრძანება. ერთი

ნაწილი მის მოწაფეთა გაემგზავრა ქართლისკენ, მეორე—კახეთისკენ. თვითელმა მათგანმა ამოიჩინა საცხოვრებლად სულ მიუღდომელი და მცხოვრებთაგან განშორებული ალაგი. მაგრამ თავიანთი მადლიანი სწავლა-მოდღვრებით, ანგელოზებრივი ცხოვრებით და სასწაულთ-მოქმედებით სულ ჩქარა გაითქვეს მათ ხალხში დიდი სახელი, იწყო მათთან დენა აუარებელმა ერმა და მოკლე დროს განმავლობაში მათი საყოფელი ალაგები შეიქმნენ დიდ მონასტრებად და სახელს განთქმულ ლავრებად. იოანეს დიდად სურდა გაეგო როგორ მოღვაწობენ და შრომობენ მისი მოწაფეები ახალ ალაგებში. დასაკმაყოფილებლად სურვილისა იოანე ეწვია ღირს მამა შიოს და დაჰყო მასთან რამდენიმე დღე. ისარგებლა ამითი ღირსმა შიომ, აცნობა მასთან ყოფნა იოანესი ისეს და ეს უკანასკნელიც სახარულით გამოეშურა თავისი მოძღვრის სანახავად. ამ საყვარელ მოწაფეებთან ერთად სადილობის დროს ღირსმა იოანემ, ხელში ღვინით სავსე ფინჯნით, შესწავრა დიდი მადლობა უფალსა თავისი მოწაფეებისათვის, შემდეგ გაუშვა ფინჯანს ხელი და იგი გაჩერდა ჰაერში თითქოს დედამიწაზედ იდგესო. შიო და ისე ვერ შეეხებნენ ფინჯანს, ვიდრე თვით იოანემ არ ჩამოღვა იგი ძირს. სადილის შემდეგ მადლობითი ლოცვა გადინდა ღირსმა შიომ, რომელიც მივიდა ბუხართან, დაილაგა ტიტველა ხელის გულზედ ნაკვერჩხლები, დააყარა მათ საკმეველი და შემოუკმია იქ მყოფთა, ხოლო ცეცხლი არ შეხებია მისს ხელს. შემდეგ ამისა ნეტარმა იოანემ ისურვა ისეს სულიერი სიმძლავრის ცოდნა; მიჰხედა მას და სთხოვა: გვიჩვენე შენც, სიტყვიერთა ცხოვართა მწყემსო, ძალი უფლისა შენში დამკვიდრებული“. დიდხანს და გულმხურვალედ ევედრებოდა ღმერთსა ისე; მერე სთხოვა დიდს იოანეს და ღირს შიოს გაჰყოლოდენ მას. ღირსი მამები მიადგნენ მდინარე ქსანს. ისემ აქაც ხანგრძლივ და ცრემლთა ფრქვევით ილოცა ღმერთი, მერე დაადო მდინარეს კვერთხი და წარმოსთქვა: გობრძანებ სახელითა ქრისტე იესოსითა—

გამოჰყე კვერთხსა ამას; გასწია წილკნისაკენ კვერთხის თრევით და მდინარე, თითქოს მიბმულ კვერთხზედ, მისდევდა მას ვიდრე თვით ნეტარისემ წილკნის ეკკლესიის ახლო არ გაანთავისუფო იგი კვერთხის აწევით. იოანე, დიდად გახარებულ და ნუგეშცემული თავისი მოწაფეების სული სიმძლავრით, დაბრუნდა კვალად ზედაზნის მთაზე ისე ჰქადაგებდა ქრისტეს სარწმუნოებას მთიულ და დღევანდელი ქრისტეანობა ქართლის მთიულ არის ნაყოფი ისეს მოციქულებრივი ღვაწლმშვიდობისა, სიყვარულისა და ერთობის მთესვა ნეტარმა ისემ მშვიდობით მიიძინა თავისსავე ეკლესიაში წილკანს-

აი ამ წმიდანის ხსენებას ასრულებს დღეს მიერ დავალებული საქართველოს ეკკლესია. ხოლო ვინ შეადგენს ეკკლესიას, თუ არა მორწმუნე ერ არის თვით ეკკლესია, თუ არა მორწმუნე კრება? მაშასადამე ვისი მოვალეობაა წმინდა ხსენების შესრულება, თუ არა ამ კრებულისა? უნდა უხაროდეს ხსენება წმიდანისა, თუ არა ედიალ, ეს ასეა, მაგრამ ჩვენ, ერსაც და ღვდელს სამწუხაროდ, სრულებით დავიწყებულნი გვყავ ჩვენი სამშობლო ეკკლესიის წმინდანები; არ ვიცით მათი ხსენების დღეები, არ ვიცით მათი ცხოვრება არ ვხმარობთ მათ სახელებს! ამ გვარი უკეთურ მარტო ჩვენ შორისაა შესაძლო და წარმოსადგენ არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოება არც ბერძნებ არც რუსებში, არც სხვა მართლმადიდებელთა თუ გნებაგთ, არც არა მართლ-მადიდებელთა შორის. საქართველოში საზოგადოთ და კერძო აქ,—იმერეთში;—იმ ზომამდე მივედით, რომ წმინდანებს აღარ უსრულებთ ეკკლესიურ წესებს. ი. ვტოვებთ ყოველთვის უყურადღებოთ იმ კითხვებს და საგალობლებს, რომლებიც გაუმწიბიათ მათთვის ჩვენ ძველებს. ან კი რა სახსენებელ და მოსავონია ეს, როდესაც დღევანდლამდე გვაქვს აუცილებელ მოვალეობად მიმჩნეული ხსენება ჩვენი სიბნელიდამ გამომხსნელისა, ჩვენი ქრ

ტესთან მიმყვანისა, ჩვენი სულიერი და ხორციელი ცხოვრების განმანათლებელის ღირსი დედა ნინოს სახელისა ყოველ წირვისა, ცისკრისა და საღამო ლოცვის ჩამოლოცვის დროს?!

თქვენ თითონ ბძანეთ, ძვირფასნო მსმენელნო, რა სახელი უნდა უწოდოთ მას, რომელიც გაიძახის— მე დიდათ მიყვარს ადამიანიო, და ამავე დროს კი არ სცნობს თვით თავის მშობლებს და არასფრით არ ზრუნავს მათთვის? ან როგორი თვალით უყურებს შეგნებულს საზოგადოება და რა სახელს სდებს იმ პირს, რომელიც ხმა მალლა ჰქადაგებს: მე ვარ ნამდვილი მამულისშვილიო, და თავისი სამშობლოსი კი არა გაეგება რა მას? ჩვენ არ გვინდა გავიცნოთ და შევიგნოთ ცხოვრება იმ წმინდანებისა, რომლებმაც თავიანთი წმინდა ოფლით, ცრემლით და სისხლით მორწყეს ის მინდორ-ველი, რომელითაც ვცხოვრობთ დღეს და სხვებისას გავიგებთ რასმეს? ჩვენ არ უღებთ გულის კარს იმათ, რომლებმაც დაგვიძყარეს მშობლი ეკლესია სამშობლო ენაზედ და წრფელის გრძნობით, გულითადი სიყვარულით ამოვიჩქდევთ მესხიერებაში გარეშე ერთა წმინდანების სახელებს? ჩვენ არ გვემეტება ჩვენი სახლის ერთ-ერთი კუთხე იმათი ხატისათვის, რომლებიც დღესაც მხურვალეთ ავედრებენ ჩვენ თავს ზეციურ მამას და გარეშეთათვის რამეს გავიმეტებთ? არა, ამ გვარი მოქმედების ჭეშმარიტი თვალთმაქცობა სახელი არის და ცბიერობა; იგი შედეგია სულიერი ავადმყოფობისა, უკუღმართი აღზრდისა და სულიან ხორციანათ დამღუპავე მიმართულებისა.

თუ გვსურს, ავიცილოთ თავიდან ესოდენი უბედურება, საჭიროა მოზარდ თაობას სიყრმიდგანვე გაუღვიძოთ მტკიცე სიყვარული ადგილობრივი წმინდანებისა. ბავშვი, რომელიც პატარაობაშივე ცნობილობს მშობლიო წმინდანების ცხოვრებას და მოქმედებას შეუმჩნევლად თანეზრდება, ეთვისება და განუყოფელად უერთდება მამულს და ენას; მის ნორჩსა და უმანკო გულში მეტად მტკიცე და შემუსვრელი სიყვარულის საძირკველს ჩაიდგავენ ის ალაგები, რომლებშიც მოღვაწეობდნენ ადგილობრივი წმინდანები; მის მესხიერებაში წაუშლელად აღმოჩნდებიან სამშობლოს ქალაქება, სოფლები, მდინარეები, მთანი და უდაბნონი, რომლებიც გააბედნიერეს და აკურთხეს თავიანთი ლოცვა-ვედ-

რებით წმინდანებმა. სიყვარული ამ ალაგებისა, რომელიც ჩაესახება გულში ბოვს პატარაობისას, შემდეგში მის წლოვანებასთან ერთად იწყებს ზრდას და თავის დროზედ გადიქცევა ისეთ მძლავრ მოთხოვნილებად, რომ შეეუძლებელია იქნება მისი არა დაკმაყოფილება, ე. ი. ამ გვარად აღზრდილი ადამიანი ვერ მოისვენებს სულით, რომ საკუთარი თვალთ არ ნახოს სამშობლოს წმინდა ალაგები, არ ეამბოროს იმ მიწას, რომელიც უწვედა წმინდანებს ლოგინის მაგივრობას, არ გაისუფთაოს გულღვიძლი იმ ჰაერის ნაკადულით, რომლითაც ჰსუნთქავდნენ ღირსნი, არ დაიტკბოს ყოველ წლივ სული და სმენა მათ პატივსადებად დადგენილი საკითხავებისა და საგალობლების მოსმენით. ყველასთვის ცხადია, რამდენად სანატრელი და საწადელია ეს ჩვენი სულიერი და ხორციელი ბედნიერებისათვის.

მაგრამ ნუ დაკარგავთ სიკეთის გზაზედ დადგომის იმედს, ნუ მივეცემით სასოწარკვეთილებას. ჩვენი სისხლისა და ხორცის წმინდანები არაფერ სიკეთეს არ დაზოგავენ და არ დაიშურებენ ჩვენთვის, თუ კი დანაშაულს შევიგნებთ და წმინდა გულით ვთხოვთ მათ მოტევებას და შენდობას; ისინი ყოველთვისაც მოიბრუნებენ ჩვენკენ თავიანთ მამობრივი სიყვარულით აღვსილ გულს, თუ ჩვენ თითონ არ შევაქციეთ მათ ზურგი. გავმხნევედეთ ამითი და ერთითა პირითა და ერთითა გულითა მხურვალეთ შევთხოვოთ ღიღსა მღვდელთ-მთავარს ისეს: მამაო წმინდაო ისე, ნუ მოაკლებ საფარველსა, კურთხევასა და შეწვენასა შენსა მონათა შენთა მორწმუნეთა ქართველთა და გვიხსენ ჩვენ ყოველნი ჭირთა და განსაცდელთაგან დღესა მას დღისა განკითხვისასა. ამინ.

ქმისკანასი ლეონაძე.



ს ი ტ შ ვ ა,

თქმული 29 კვირააკეს ქვაშ. წმ. გიორგის ეკლესიაში.

ნუ უტყუით ერთი ერთსა (კოლ. 3, 9).

„ღმერთო წაწყმადნე შენ ყოველნი, რამელნი იტყვიან საცრუებს, ევედრება მეფე დავითი ღმერთს ერთს თავის ფსალმუნში (5, 5). სოლომონ ბრძენი ამბობს: საძაგელ უფლას ბაკენი მტყუანნი (იგ. 12, 22). იოანე ღვთისმეტყველი სწერს, მატყუარა კაცი, გარდა რისხვისა, ვერას დაიმსახურებს ღვთის წინაშე: „ყოველთა მატყუართა ნაწილი მათი აუფს ტბას მას ცეცხლათა და წუნწებითა მატყუანაჲსა“. რადგანაც ასეთი სასტიკი სასჯელი მოელის ტყუილის მთქმელს, პავლე მოციქული, როგორც გაიგონეთ, კეთილმორწმუნენო მსმენელნო, ღღევანდელ წაკითხულ სამოციქულოდგან, გვარიგებს: „ნუ უტყუათ ერთი ერთსა (კოლ. 3, 9), არამედ შეიმოსეთ სიმართლათა და სიწმიდათა ჭეშმარიტებისათა. (ეფ. 4, 24). როგორც ღვთისაგან არის დევნილი მატყუარა, ისე კაცისაგან არის მოძულებული. რისთვის ამბობენ ტყუილს?! ხშირად და უმეტეს ნაწილად მისთვის, რომ რაიმე სარგებლობა მიიღონ. მაგრამ სამაგიეროდ, ერთი ათად აგებენ. შეიძლება, ერთხელ ორჯერ ვინმე მოატყუო და მით ისარგებლო, მაგრამ, როდესაც შეგიტყობენ, დაკარგავ ყოველივე ნდობას საზოგადოების თვალში, აღარავინ არასფერს არ დაგიჯერებს. ტყუილს კი არა, მართალსაც აღარ დაგიჯერებენ, ბევრიც რომ ვცადო, აღარ დაგერწმუნებინან და ამაზედ დიდი სასჯელი რაღა იქნება? ამბობენ: ტყუილის თქმა არ არის საძრახისი, თუ ხუმრობითა და არა ბოროტ განზრახვითაო; როდესაც ხუმრობით იტყუებს კაცი, ამისთვის არ უნდა დაემდუროვო, საწყენათ არ უნდა მიიღოვო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამ ხუმრობით გამოთქმულმა სიცრუეებ რომ ისეთივე ვნება მოუტანოს (ასედაც ხდება ხშირად), როგორც ბოროტ განზრახვით, მაშინ რაღა ხუმრობა იქნება!

ზოგიერთნი არამც თუ ამართლებენ ხუმრობით, ოხუნჯობით ტყუილის მთქმელს, არამედ საჯაროდაც ხდიან ხანდისხან ითქვას ტყუილი, რადგან სიმართლის თქმა ზოგიერთ შემთხვევაში

დალუბავს კაცს და ტყუილი კი დაიხსნის მას. ამბობენ: მიზანი როდესაც კარგია, როდესაც კაცს უნდა სარგებლობა მოუტანოს მოყვასს და ამ მიზნით ტყუილს იტყვის, არავითარმე ცოდვა არ არისო. კაცმა რომ კაცი დაიხსნას სასჯელისაგან, დალუბვისაგან, განა ცოდვით უნდა ჩაეთვალოს მას, რა ცუდი საშუალებაც უნდა იხმაროს მან ამ შემთხვევაშიო? გვეკითხებიან ესენი. ასე რომ ვითქვით, ბატონებო, ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც არის, ბოროტმოქმედებათა ყოველთვის განმართლებული უნდა იქნეს. მიზანი როცა კარგია, მის მისაღწევათ საშუალებაც კარგი უნდა ვიხმაროთ. თუ არა თვით მიზანი კარგავს თვის კარგ დანიშნულებას, როდესაც მის მისაღწევათ ვხმარობთ უზნეო, კაცის ღირსებათა დამამცირებელ საშუალებათა. გარდა ამისა, კაცის დახსნა სასჯელისაგან კარგია მაშინ, როდესაც ის მართალია, დანაშაული არ არის. ამ შემთხვევაში ყოველი ჩვენგანი მოვალეა დაეხმაროს სიტყვით იქნება თუ საქმით, სიძარტლე აღადგინოს: მართალი კაცი გაამართლოს, რომ ცილისწამების მსხვერპლად არ გახდეს. მაგრამ როდესაც ვიცით, კაცი დანაშაულია და ჩვენ ვცდილობთ მის განმართლებას, ჩვენ ვსცოდავთ საზოგადოების წინაშე. მანებელი წვერი საზოგადოებისა ყოველთვის დასჯილი უნდა იქნეს, ჩვენ კი მხარს ვუჭერთ, საზოგადოების ინტერესზე ერთი კაცის სარგებლობას ზევით ვაყენებთ, ერთ კაცს მეტ პატივს ვსცემთ, ვინემ მთელს საზოგადოებას. ჩვენი ქცევით სარგებლობას კი არა, ზარალს, ვნების მეტს ვერას მოუტანთ არამც თუ საზოგადოებას, არამედ იმ პირსაც, ვის ბოროტ-მოქმედებასაც ხელს ვაფარებთ. კარგი, გაამართლე თუ გინდა ქურდი კაცი, რას ფიქრობ, ის აღარ მოიპარავს? მეტსაც იქს, უფრო გათამამდება. იმედი ექნება, თუ ერთხელ გავმართლდი, მეორეთაც მოვახერხებო. ამისათვის გასწორების მაგიერ, კიდევ უფრო ბოროტ-მოქმედი გახდება და ამნაირად, როგორც თვით ქურდი არის დანაშაული თვის ცუდ მიმართულებაში, ისე მისი შემწენი და დამხსნელნი, ანუ უკეთ ვსთქვათ, დამლუპველნი.

იმნაირად არიან ზოგიერთები სიცრუის თქმას შეჭვეულნი, რომ ვერავითარმე გარემოება მათ ვერ შეაკავებს. ვსთქვათ, ვინმე ძლიერ ავად არის.

ნათესავეები და ნაცნობები დარწმუნებულნი არიან, დიდი-დიდი ორი სამი დღე კიდევ გაგრძელდეს მისი სიცოცხლე. ამ შემთხვევაში ქრისტიანული მოვალეობა მოითხოვს უკანასკნელად აღსარება ათქმევინონ და წმ. საიდუმლო მიადებონ. მაგრამ, რას ვხედავთ უმეტეს ნაწილად? რაი და შეეშინდება, რომ უთხრათ ეზიარეო და ამით დღეს მოუსწრაფებთო, პირიქით ურწევენ, ნუ ეზიარები, საზიარებელი რა გიშავთო, ჯერ კიდევ დიდხანს იცოცხლებო, და ამით უნდათ ანუგეშონ. მაგრამ გაუგებრად დაღვეს სულს და ზიარების ღირსი ვერ გახდება. ვინ არის ამ შემთხვევაში დამნაშავე? ის, ვინც ტყუილად ანუგეშებდა, ვინც ფიქრობდა მოყვრულად ვექცევო და პირველ მტრად კი ხდება. აი რამდენ უბედურებას შეამთხვევს კაცს მოტყუება...

წინამძღვარი ქვაშ. წმ. გიორგის ეკკლესიის მკვლავ ტეჟმალაძე.

მართლმადიდებლობით — ქრისტიანებრივის სპეკულესიო სასოგადოებრივის ღვთის მისხურების განმარტება.

გაგრძელება *)

მღვდელი მოიწვევს რა ეკკლესიაში მდგომ ხალხს ღვთის სადიდებელად შემდგვის წარმოთქმითა: დიდება წმიდასა და თანაარსსა და ცხოველს-მყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, და მას მკალობელთა გუნდი ხალხის მაგივრად ამაზე უბასუხებს: ამინ. ამინ ნიშნავს: ნამღვილად ასე. ამ სიტყვით გამოიხატება ის აზრი, რომ ადამიანი მოვალე არის აქოს-ადიდოს უფალი, მიზეზი ქვეყნიერობის არსებობისა და კაცობრიობის ბედნიერებისა. მერე, მღვდელი იტყვის: მოვედით თაყვანის ვსცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა. მოვედით თაყვანისვცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა მეუფესა ჩვენსა ღმერთსა. მოვედით თაყვანისვცეთ და შეუვრდეთ თვით ქრის-

ტესა მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა. მოვედით თაყვანისვცეთ და შეუვრდეთ მას. ამ სიტყვებით მღვდელი გვიხმობს სადიდებელად განსაკუთრებით მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა და გვეუბნება, რომ თაყვანისვცეთ მას და შეუვრდეთ — მუხლი მოვიყაროთ, და ემზოთ მის წინაშე, ე. ი. განვიმსჯვალოთ უღრმესის სიყვარულითა და კრძალულებითა მისადმი. ჩვენ გვმართებს უმთავრესად ვადიდოთ მაცხოვარი იმიტომ, რომ იმის მეოხებით ვისწავეთ ქვეშარიტი ღმერთი, იმის ღვაწლით მოვიპოვეთ ღმერთთან კავშირი, იმის წყალობით გავხდით ღირსნი ზეციერის მამის სიყვარულისა და სულის წმიდის ზიარებისა, ე. ი. ცხოველსმყოფელის და კეთილისადმი მიმდრეკელ მადლის მოღებისა. უფალი იესო ქრისტე რომ სოფლად არ მოსულყო, ჩვენ ქვეშარიტი ღმერთი არ გვეცოდინებოდა და მასთან ერთობას მოკლებულნი ვიქნებოდით. უმისოდ ჩვენ არ შეგვეძლო დაახლოება ღვთაებასთან; ის არის ერთად ერთი გზა, მიმყვანელი ღვთის სასუფეველში; ღმერთს დაუახლოვდება მხოლოდ ის, ვინც უპირველესად შეუერთდება ქრისტესსა. მე ვარ გზა, ქვეშარიტება და ცხოვრება (იოან. 14, 6); თვინიერ ჩემსა არა რა გიძთ ყოფად არცა ერთი (ნაყოფი, კეთილი) (იოან. 15, 5); არვის ძალუძს მისვლა მამისადმი მხოლოდ ჩემ მიერ — სთქვა მაცხოვარმა. მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ ვაქებთ რა იესო ქრისტეს, ამით ვადიდებთ მამასაც და სულსა წმიდასაც, რადგან ისინი განუყოფელი არიან.

შემდეგ, ეკკლესიაში მდგომნი ქრისტიანნი იწყებენ დიდებისმეტყველებას ღვთისასა. რადგან დიდებულება ღვთისა გამოიხატება ქვეყნის შექმნაში და მმართველ-გამგებობაში, ამიტომ ქრისტიანნი ადიდებენ უფალსა, როგორც მსოფლიოს შემოქმედსა და განმგებელს. ხოლო რომ ღმერთი არის დამაარსებელი ქვეყნისა, იმისი მზრუნველი და კეთილისმყოფელი, ეს კარგად არის გამოხატული 102 ფსალმუნში, რის გამოც იგი იგალობება. — აკურთხე-აქე, სულო ჩემო, უფალი, რადგან იგი დიდებულ არს, — ნათქვამია ამ ფსალმუნში. — მან შექმნა ნათელი, სამყარო, ანუ ხილული ცა; მან დააფუძნა დედამიწა; იმის ძალითა და მოქმედებით მიწა ირწყვება განმაცხოველებელის წყლითა და აღმოსცნდებიან სხვა-და-სხვა გვარნი მცენარენი, რომელთა ნაყოფით საზრდოობენ სულდგმულნი. მან შექმნა მზე და

*) იხ. „მწყემსი“ № 21. 1901 წ.

მთავარე; მან დააწესა ღღე და ღამე, და ღღის განმავლობაში შრომობს კაცი, ხოლო პირუტყვნი — მხეცნი ღამ-ღამობით შოულობენ საზრდოსა. წყალთა შინა ღმერთმა გააჩინა სხვა-და-სხვა ცხოველები. იგი ასაზრდოებს ყოველს სულდგმულსა; მასხედ არის დამოკიდებული ჩვენი არსებობა. — ამ ფსალმუნის გალობის დროს სამეუფო კარები ღიაა, და მღვდელი მთელს ეკლესიაში აკმევს; მას წინაუძღვის მთავარ-ღიაკონი სანთელითა. გალობა 103 ფსალმუნისა და სამღვდლო პირთა მოქმედებანი მოგვაგონებენ ქვეყნის შექმნას და პირველთ კაცთა ყოფნას სამოთხეში, სახელდობრ, აღნიშნულ ფსალმუნის შინაარსში თვალწინ გვიყენებს ქვეყნის შექმნას; ღია სამეუფო კარები მოასწავებენ იმას, რომ ადამ და ევასთვის სასუფეველი, ანუ სამოთხე ღია იყო, რომ ისინი დაახლოვებულნი იყვნენ ღმერთთან და იმის ღიდების ხილვით ნეტარებდნენ; საკმევლის კეთილსუნნლოვანი კვამლი მოასწავებს ახლად შექმნილ ქვეყნის და კერძოდ სამოთხის სიმშენიერეს; აღნთებული სანთელი მოგვაგონებს იმ სიამოვნება-სიხარულსა, რომლითაც გარემოცულნი იყვნენ ადამ და ევა ბუნების ქვრეტითა და ღმერთთან სიახლოვისა გამო. კიდევ სანთელი მოგვაგონებს ღვთის სიტყვასა: იყავნ ნათელი; ხოლო საკმეველი — სულსა წმიდასა რომელიც იქცეოდა ქვეყანასა ზედა (შექმ. 1 თავი). როგორც ზემოდ ვსთქვით, მღვდელი აკმევს მთელს ეკლესიაში, აკმევს ჯერ წმ. ტრაპეზის გარშემო და წმ. ხატების წინ და მერე ხალხს უკმევს. თვით კმევას სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს. კმევა ირგვლივ წმ. ტრაპეზისა, რომელიც ღვთის განსაკუთრებულ სამყოფელ ადგილს წარმოადგენს, და წინაშე მაცხოვრის ხატისა მოასწავებს იმას, რომ ჩვენ აღვააპურობთ გონება და გულს ღვთისადმი, აღვაღვინთ მისდამი ლოცვა-ვედრებას და ვსთხოვთ მას, რომ მან მოგვანიჭოს თვისი მადლი, განგვანათლოს, მოგვცეს გული, მხურვალე წმიდა და სანეტარო გრძნობებითა, შეგვმოსოს სათნოებებითა. კმევა წმიდანების ხატების წინაშე მოასწავებს ჩვენს თხოვნას წმიდათადმი, რომ ამით ჩვენს ლოცვას შეუერთონ თვისი წმიდა ლოცვა, რათა უფალმან მოწყალეებით მოგვხედოს და მოგვიღვინოს თვისი ცხოველსმყოფელი მადლი და შეგვეწიოს გაჭირვებაში. ხალხის წინაშე კმევით გამოიხატება სურვილი, რომ მლოცველთა

ზედა გადმოვიდეს სული წმიდა, დაიმკვიდროს მის გულში, განწმიდოს ისინი და აღავსოს იგინი მშვიდობითა და სიხარულით.

103 ფსალმუნის გალობის დროს ქრისტიანემ უნდა მიმართოს თვისი გონება ღვთისადმი და დაამყაროს თვისი ყურადღება მისთ ქმნილებათა ზედა, რომელნიც გვიღალადებენ მისს სიბრძნესა და ყოვლის შემძლებელობას. ქრისტიანემ უნდა წარმოიდგინოს ანგელოსნი, უუმაღლესნი, სიეთეში განმტკიცებულნი სულიერნი არსებანი, რომელნიც დაახლოვებულნი არიან უფალთან, სდგანან მის წინაშე, დაუცხრომლად აღიდებენ და უგალობენ მას, ასრულებენ მისს წმიდა ნებას, მოგვლინებიან ადამიანებს და შველიან მათ კეთილ საქმეში. მან უნდა მოიგონოს სხვა-და-სხვანი ნიეთიერება — სხეულნი, დაუსრულებლად უუღიადესნი და დაუბოლოებლად უუმცირესნი, მათი შედგენილება, ნაშენობა-აგებულება, მათი მოძრაობა მოქმედება. მან თვალწინ უნდა დაიყენოს ურიცხვნი, უზარმაზარნი ვარსკვლავნი და პლანეტნი, რომელნიც სამყაროს უსაზღვრო სივრცეში ტრიალებენ და გარს უვლიან თავისთავს და ერთიმეორეს საოცარის წესიერებითა და მუდმივობით. მან თვალწინ უნდა დაისურათხატოს დედამიწის დამამშვენებელნი და ადამიანის თვალის წარმტაცნი და გულის დამატკობელნი, მომზიბლველნი მცენარენი, მათი აგებულება და ცხოვრება. მან უნდა წარმოიდგინოს ცხოველნი და მათი ნაშენობა და მოქმედება, მან უნდა წარმოიდგინოს ადამიანის სულის გამაცვიფრებელნი თვისებანი, მისი შემოქმედება და ძლიერება. საერთოდ, მან უნდა გაიხსენოს მრავალნი საოცარნი მოვლენანი, ძალნი და კანონნი ბუნებისანი, რომელთაც ვხედავთ დედამიწის ზურგზე, ჰაერის სივრცეში და დედამიწის სიღრმეში — და უნდა განიმსჯელოს იგი უზომო კრძალულებითა შემოქმედისადმი და სთქვას: საოცარ არიან საქმენი შენი, უფალო! ყოველივე სიბრძნით შექმენ.

კიდევ, ქრისტიანემ უნდა წარმოიდგინოს, თუ როგორ განაჩიხა და აამალა უფალმან ადამიანი, უჩვენა მას განსაკუთრებული დანიშნულება, მისცა მას თვისი ხატება-მსგავსება, დაიახლოვა იგი, — და მან უნდა იგრძნოს ღრმა მადლობა და სიყვარული მისდამი. ასეთი აზრებითა და გრძნობებით გარემოცულნი უნდა იყვნენ მლოცველნი მანამ, სანამ

მღვდელი კმევას არ გაათავებს. როცა მღვდელი დაასრულებს კმევას, მაშინ ის დახშავს აღსავლის კარებს და დადგება ამბიონზე ამ კარების წინ და იწყებს საიდუმლო ლოცვების კითხვას. სამეუფეო კარების დახშვა მოასწავებს ადამ და ევას განდევნას სამოთხიდან, მათ მიერ დაკარგვას ცხოველის და მქიდრო კავშირისა ღმერთთანა და ნეტარებისა. მღვდელი, მდგომარე აღსავლის დახშულ კარების წინ, მოგვაგონებს შეცოდებულს, მწუხარე და თვის ცოდვების მომნანიებელ ადამსა. ამ დროს მლოცველებმა უნდა წარმოიდგინონ, თუ როგორ გაჩნდა და გაძლიერდა ცოდვა ადამიანის ბუნებაში, თუ როგორ შეიპყრო ბიწიერებამ მთელი კაცობრიობა, თუ როგორ შთაინთქა კაცთა ნათესავი ენებათა მორევში და დაჰკარგა ძალა ქმნად თვისთ კეთილსურვილთა, რომელნიც კიდევ შერჩნენ მას, თუ როგორ განშორდა იგი უფალსა თვის ცოდვიანობისა გამო და იწყო ტანჯვა-ვაებით აღსავსე ცხოვრება. ყოველივე ესე უნდა გაითავალისწინონ მლოცველებმა და უნდა აღივსნენ ღრმა მწუხარებითა.

კაჭახიძე.


(შემდეგი იქნება)

სასელმძღვანელო, საეყრადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

- კით. რა ფასიანი მარკა უნდა იხმარებოდეს საგვირგვინო მოწმობისათვის, რომელსაც მღვდელი აძლევს სასიძოს ან სასძლოს?
- მივ. თუ მღვდლისაგან მიცემულ მოწმობაში არ არის ნაჩვენები შობა-დაბადების და წლოვანობის ცნობა, სულ არ არის საჭირო გერბის

- მარკა დანარჩენი ცნობებისათვის, ხოლო თუ წლოვანების ცნობა არის მეტრიკიდან ნაჩვენები, მაშინ სამ-აბაზიანი მარკა უნდა დაეკრას.
- კით. გარდაცვალა მღვდელი; დარჩა მრესლი უმღვდლოდ ოთხი თვე ან მეტი დრო. მრევლს მართავს მახლობელი მღვდელი. ამ მღვდელს ერგება ყოველივე შემოსავალი მრევლისაგან?
- მივ. სანამ საკუთარი მღვდელი დაენიშნებოდეს მრევლს, ყოველი შემოსავალი მრევლისაგან სახელმწიფო ჯამაგირს გარდა, ნახევარი ერგება დროებით მრევლის მმართველ მღვდელს და ნახევარი გარდაცვალებული მღვდლის ოჯახობას. თუ მღვდელს არავინ დარჩენია, მაშინ ეს ნახევარი შემოსავალი კანონით ეპარქიის სამზრუნველოში უნდა წარდგინდეს. ხაზინიდან მისაღები ჯამაგირი ისევ ხაზინაში უნდა დაბრუნდეს, რომელი ფულებიც სინოდისაგან სასულიერო წოდების საჭიროებაზე მოიხმარება.
- კით. სულის საქმის აღსრულება, ე. ი., გარდაცვალებულის წირვა და პანაშვიდის შესრულება შობას, ნათლის-ღებას და ათორმეტ საუფლო დღესასწაულ დღეებში შეიძლება თუ არა?
- მივ. გარდაცვალებულთათვის წირვის შესრულება ათორმეტ საუფლო დღესასწაულ დღეებში არ შეიძლება.
- კით. ერთად მონათვლა რამდენიმე ბავშვის და ერთ ემბაზს წყალში შთაყვანა შეიძლება თუ არა?
- მივ. ერთად რამდენიმე ბავშვის მონათვლა და ერთი ემბაზში შთაყვანა შეიძლება იმ პირობით, რომ სათითოეულთა და ეწოდოს სახელი და სხვა განსაკუთრებით საჭირო მელი სიტყვებიც ცალ-ცალკე უნდა აღასრულონ თვითეულ ბავშვზე; მეტრიკებშიც ცალ-ცალკე უნდა ჩაიწერონ თავიანთი მიმქმელებით.



მდიდრე ხელის-მოწერა 1902 წლისათვის ორ

კვირულ გამოცემათა კართულს

„მწყემს“-ზე

ღ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქუჩნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2 »
— ,, ორივე გამოცემა »	— ,, ორივე გამოცემა »

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილში, აგრეთვე ქუთაისშიც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრის მალაზაშა, ბ. შიო ქუჭუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაკაროვთან; საჩხერეში—ყარასან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაგში—ბლალაჩინ მამა არისტარქ კალანდარი-შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზრდები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დეისაძის სახლებში და ყვირილში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ზარეშე მკვარებით ქუჩნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

„იპმრიბ“

გამოვა 1902 წელს

გადიდებულ ადგილობრივ რუსულ გაზ. ფორმატიცა იმავე პრეგრამით, რეგრეტ წინეთ

ფასი გაზეთი:

2 თვით . . . 10 მ. — კ.	6 » . . . 6 მ. » კ.
1 » . . . 9 » 50 »	5 » . . . 5 » 50
0 » . . . 8 » 75 »	4 » . . . 4 » 75
9 » . . . 8 » — »	3 » . . . 3 » 50
8 » . . . 7 » 25 »	2 » . . . 2 » 75
7 » . . . 6 » 50 »	1 » . . . 1 » 50

საზღვარ გარეთ დაბარებული ედირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «სვერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Редакція «Иверія».

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილის გარეშე აღრესზედ შესცვალა ვინემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მან.; ხლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფუელი ნაწილ-ნაწილად შემორტანოს ამ გვარად: ხელის მოწერის დროს 3 მან. პირველ მარტ — 2 მან. პირველ მაისს — 3 და პირველ სექტემბერს — 2 მან.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვ. თითოჯერ სტრიქ.—8 კ., პირველზედ—16 კაპ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდედ ხელნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკესრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ნამუხადდეგის პირველ საათიდგან სამ საათამდე.

რედაქცია იმყოფება:

ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

დამდეგ 1902 წლისათვის
მიღება ხელის მოწერა
„მოამბე“ - „ცნობის-ფურცალზე“

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალის გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 10 მან.,
6 თვით 6 მ. 3 თვით 3 მან. სამზღვარ-გარეთ: ერთი
წლით 13 მან. 6 თვით 7 მან. სამი თვით 5 მან.

წლიური ფასის განაწილება: პირველად 5 მან.

1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2
მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

გაზეთის ფასი გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლით 6 მ.
6 თვით 4 მ. 1 თვით 75 კაპ., სამზღვარ-გარეთ:
ერთი წლით 9 მან., 6 თვით 7 მ., 1 თვით 90 კ.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—3 მან.,
პირველ აპრილამდე—3 მ., თითო ნომერი—3 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელი წლით გამოიწერს,
„ცნობის ფურცელი“ უფასოთ გაეგზავნება, მხო-
ლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისთვის
უნდა დაუმატოს 1 მან., რომელიც ხელის მოწე-
რისათანავე უნდა იქმნას შემოტანილ.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოდის 1900
წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგ-
რამით და გადიდებული ფორმატით.

ჯანცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ მეო-
თხეზე 5 კაპეიკი.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მასინ
დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

აღრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію
„Моамбъ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

საპალიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

(წელიწადი მეათე)

გამოვა 1901 წელში ყოველ კვირაში ერთხელ
გაფართოვებული პროგრამით ერთიდან სამ თაბა-
ხამდე.

რედაქციისაგან: რადგანაც ახალ წლიდგან
„კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში
დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის
სივრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი განუ-
ფილებების შემოღება და მით მკითხველისათვის
მეტი საკ-თხავი მ.საღის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალი“ დაიბეჭდება
მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვა-
წეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩინეთის)
მათი ბიოგრაფიებით.


გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან.,
ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლით გაუ-
გზავნელად 3 მან. და 50 კაპ. გაგზავნით 4 მანეთი.
სამი თვით 2 მან., თითო ნომერი საქ შაურად.

ხელისძომწერლებს წლის ფული შეუძლიათ
ნაწილ-ნაწილად გაპოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში «წერა-კით-
ხეა» გამაერცვლებელ საზოგ-დოების კანცელარიაში
(ასახლის ქ, სათაყ-დან. ქ.რგ.) და თვით «კვა-
ლის» რედაქციაში—საპერნიის ქ., № 15, აღდექ-
სანდროვის ბაღის გვერდით.

ქუთაისში: მიტროფანე ლად-ძესთან და ვ.
ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ.
თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო
უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-
სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში,
ჭიათურაში კარპე მოღებაძესთან და უჯირილაში
ივანე არდიშვილთან.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“



ამჟამო საავთმყოფო აგზულატორიით

ს. ბ. თოფუჩიას.

ქ. ქუთაისში.

საავთმყოფოში დგას ო რ მ ო ც ი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავთმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავთმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავთმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს

მ. ს. ბ. თოფუჩია.

ქირურგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავთმყოფობისათვის.

მ. შ. კ. გეგრაძი.

დედაკაცურ ავთმყოფთა და საბებლო ქალი.

მ. მ. შ. კობანი.

ჩეკვა დარბების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და დამე ქირა საავთმყოფოში სრული სარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აზერციის ფასი გარიგებაზე. სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფუჩია.

1901 წლის 1 დ აგვისტოდან ქადაქ ბუქარეტი (რუმინიაში) გამოდის ფრანგულ-რუსულ ენაზე საყოველთაო რაე გაზეთი

«კრავოსლავნი ვანსტოკ»

(„მართლ-მადიდებელი აღმოსავლეთი“)

ამ გაზეთში უმთავრესი მონაწილეობა აქვს ნ. ნ. ლუკნოვს.

წლიური ფასი გაზეთისა გავზავნით ერთი თუმანა ნახევარი წლისა—სუთი მან.

გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბაროთ: Bucaresti—Roumania. Strada Doamnei, 16 Redaction „L'Orient Orthodoxe“ «Православный Востокъ».

საემწეალო ნახატებანი ურნალი

„ჯეჯილი“ წელიწადი 80 13-ბა

გამოვა 1900 წელს: ც თვენი ერთხელ იმავე

პროგრით, როგორც აქმდე

ქურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ქურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—4 მანეთი, თბილის გარეშე გავზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ. ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში - «წერა-კითხვა საზოგადოების» კანცელარიაში და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (არტიკლის ქ. № 5, კაღვთა კარპუსის ახლო).

ფოსტის აღრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала «Джеджили».

3—1

ИКОНОИСЕЦЪ

НИКОЛАЙ ЕВДОКИМОВИЧЪ АНДРЕЕВЪ въ г. Кутаисѣ, на Тифлисской улицѣ въ домѣ кн. Эристова.

Принимаетъ заказы ИКОНОИ живописи для Иконостасовъ, росписываетъ Церкви въ Византійскомъ-Греческомъ и древне-русскомъ стилѣ, а также работаетъ и по возобновленію живописи; принимаетъ и заказы на иконостасы—рѣзные орѣховые и золоченые ИКОНЫ исполняетъ на холстѣ, деревѣ, стеклѣ и металлахъ. Иконы нищу по имѣющимся у меня въ большомъ количествѣ образцамъ лучшихъ художниковъ и профессоровъ живописи; планы иконостасовъ имѣю также въ большомъ выборѣ.

За исполненіе моихъ работъ имѣю похвальныя отзывы и благодарности отъ многочисленныхъ моихъ заказчиковъ по Грузинскому Экзархату.

Съ почтеніемъ Н. Андреевъ.

8—7

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 31 декабря 1901 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елиевъ

Типог. редакціи журн. „Пастырѣ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.